ცისფერი მთვარე

№19 აგვისტო-სექტემბერი

რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი

2 რამაზნი და საზოგადოება

6 ყადირის ღამე

7 ზექათი და მისი მნიშვნელობა

16 მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, მუსლიმი ზინედინ ზიდანი

ვეთილი იყოს შენი მოგზრძანებმა ჭმინდა რამაზნის მთვარეო

ახალი მთვარე

რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი
№19 აგვისტო-სექტემბერი 2011 წელი

ISSN 1987-6106

UDC (უაკ) 2-472 ა-984

გამომცემელი:
ა(ა)იპ-„ქართველ მუსლიმანთა საზოგადოება"

მთავარი რედაქტორი
თემურ გორგაძე

სარედაქციო კოლეგია:
გიორგი კამლაძე
ზაზრი შანთაძე
გელა გოგიტიძე
ადამ შანთაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი:
Worldpublishings
რასიმ შაქიროღლი

მარკეტინგის მენეჯერი:
რუსლან (მევლუდ) აბაშიძე

კორექტორი:
მზია შანთაძე

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. ავტორები თავად აგებენ პასუხს მათ მიერ მოყვანილი ფაქტების, არგუმენტებისა და ციტატების სიზუსტეზე. მასალების გადაბეჭდვა ნებადართულია რედაქციასთან შეთანხმებით. რედაქცია ვალდებულია, გამოუქვეყნებელი მასალები, პირველი მოთხოვნისთანავე, გადასცეს პირადად ავტორს.

მისამართი:
ქ. ზათუმი, ქუთაისის ქუჩა №-33
ტელ. ფაქსი: 8 (422) 27 69 04
ელ. ფოსტა: info@muslim.ge

დაიბეჭდა:
შპს „თბილისელებში"

მისამართი:
ქ. თბილისი, ასლანიძის ქუჩა №-14
ტელ: 8 (32) 2 336 336
ელ. ფოსტა: baluka71@mail.ru

სარჩევი

2. რამაზნი და საზოგადოება
გელა გოგიტიძე

6. ყადირის ღამე
გელა გოგიტიძე

7. ზექათი და მისი მნიშვნლობა
გელა გოგიტიძე

12. შუამავლის რამაზანი
თარგმნა: გ. ხოზრევანიძემ

16. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, მუსლიმი ზინედინ ზიდანი
გიორგი კამლაძე

19. რის შესახებ მოგვითხრობს ერთი მეჩეთი
თარგმნა: გ. ხოზრევანიძემ

20. წმინდა ჰუდი
ოსმან ნური თოფბაშის

24. ისლამის პირველი წლები
თემურ გორგაძე

28. ღუსლი

30. გპასხუობთ თეოლოგი

32. ანეგდოტები

33. ქართული ხალხური ანდაზები

34. ბრძნული გამონათქვამები

36. სუდოკუ

37. საბავშვო გვერდი

38 - საბავშვო ტესტები

38 - ლაბირინთი

39 - წიგნი საუკეთესო მეგობარია

39 - იპოვეთ 7 განსხვავება!

40 - ბავშვთა ბაღი „ჩიორა"

რამაზნი და საზოგადოება

გელა გოგიტიძე

რამაზანი, ისლამის სამყაროსთვის სიხარულისა და ბედნიერების მიმნიჭებელი, ურთიერთმიტევების, მონანიების შესმენის, სულიერი განწმენდის, ღვთისმოსაობის განმტკიცების, გულისხმიერების გამოხატვისა და ურთიერთდახმარების აღზევების მთვარეა. ეს მთვარე იმდენად მადლმოსილია, რომ მას წლის სხვა დანარჩენ თერთმეტ თვეზე მოწყალების ფრთები აქვს გადაფარებული, რაც აღნიშნულ, მთარეში მუსლიმი მორწმუნეების ურთიერთ ქცევებში და დამოკიდებულებებში მკაფიოდ იგრძნობა. გამომდინარე აქედან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ რამაზანის მთვარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელსაყრელი დროა, ყველა ზემოთ აღნიშნული სიკეთეების მოსაპოვებლად.

რამაზანი ის მნიშვნელოვანი ღვთისმსახურების თვეა, რომელშიც დაიწყო ყურანის ზეგარდმოვლენა. აგრეთვე, ამ მთვარეში აუცილებელი გახდა მარხვა, და სუნნეთად გვევლინება თარავიჰ ნამაზის ლოცვა, ასევე უმჯობესია ზექათიც ამ დროს გადავიხადოთ. ყველა ესენი რელიგიური ცხოვრების თვალსაზრისით, ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას ატარებს.

ისე როგორც გუშინ, დღესაც კაცობრიობის ცხოვრების ყველაზე მეტად პრობლემატურ საკითხს სოციალური სფერო წარმოადგენს. განსაკუთრებით საზოგადოებრივ გარემოში ადამიანებს შორის ურთიერთობა, სიყვარული, პატივისცემა და კეთილდამოკიდებულება ზედმიწევნით მნიშვნელოვანია. სწორედ ეს ფასეულობებია, საზოგადოების სულიერი სიმშვიდის, ნდობის და მშვიდობის ძირითადი ელემენტები. იმ სოციალურ გარემოში, სადაც ეს ფასეულობები ძლიერია, ცხოვრება უფრო მშვიდობიანი და სანდოა, ხოლო სადაც მოისუსტებს, მდგომარეობა არასახარბიელო და საფრთხით მოცულია. ამიტომაც მშვიდი გარემოს შესაქმნელად რამაზნის მთვარის მსგავსი სულიერებით აღსავსე დროა საჭირო.

რამაზნის მთვარე

რამაზნის სხვა თვეებისგან უფრო მნიშვნელოვან და განმასხვავებელი თვისებას ამ მთვარისთვის განკუთვნილი მარხვა წარმოადგენს. ვინაიდან მარხვა, ამ თვის უმთავრესი ღვთისმსახურებაა. ამასთანავე კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ ისიც, რომ მარხვა ისლამის პირობებისგან ერთ-ერთია. სწორედ რამაზნის მთვარეა, რომელშიც მუსლიმი ადამიანი აუცილებელ ღვთისმსახურებას, მარხვას, ასრულებს. ამის შესახებ წმინდა ყურანში ნაბრძანებია: ***„ო თქვენ რომელთაც ირწმუნეთ! მარხვა, ისე როგორც თქვენ წინამორბედთ, ასევე თქვენც სავალდებულოდ დაგიწესდათ. იმედია ღვთისმოსავნი იქნებით.***

განკუთვნილ დღეებში მარხვა თქვენთვის აუცილებელი გახდა...“ *(სურა ბაყარა აიათი 183-184)*

როგორც აიათებიდან ჩანს, უპირველესი რამ, რასაც რამაზანი გვახსენებს, ეს მარხვაა. საკითხთან დაკავშირებით უკეთილშობილესი შუამავალი ბრძანებს:

„ის ვინც რამაზნის სათნოებების დაჯერებითა და ჯილდოს ალლაჰისგან მოლოდინით იმარხულებს, ჩადენილი ცოდვები მიეტევება“. *(ბუჰარი, სევმი 6; მუსლიმ სელათი, მუსაფირუნ)*

სხვა ჰადისში კი შემდეგნაირად არის ნათქვამი:

ვინც რწმენითა და ჯილდოს მხოლოდ ალლაჰისგან მოლოდინით რამაზნის მთვარეს ღვთისმსახურებაში გაატარებს, ჩადენილი ცოდვები ეპატიება. *(ბუჰარი, იმანი, 27; მუსლიმი სელათულ მისაფირუნ)*

რამაზნის მთვარე, ამავდროს კლასობრივ განსხვავებას, თუნდაც გარკვეული პერიოდით, აუქმებს. ყველა, განურჩევლად მდიდარისა და ღარიბისა, მარხვის ვალდებულების შესრულებაში თანასწორნი არიან. მარხვის ღვთისმსახურებას ინდივიდუალური და საზოგადოებრივი თვალსაზრისით ძალიან ბევრი სარგებლობა ახასიათებს. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ მარხვა, ადამიანის სულიერი სამყაროს მომწიფების, სრულყოფისა და ღვთისმოსაობის შეძენის მხვრივ ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. გარდა ამისა მიზნად ისახავს იმას, რომ ადამიანმა გაჩენის არსის შესაბამისად იცხოვროს.

როგორც ჩანს ადამიანისთვის მარხვას უამრავი სიკეთე მოაქვს. ასე რომ პიროვნებას, რომელსაც თეორიულად მარხვის დაცვის საჭიროების სჯერა, შესაბამისად იგი ცხოვრებაშიც ითავისებს. აქ არანაირი ძალდატანებას ადგილი არა აქვს. ეს ყველაფერი პიროვნების რწმენაზე და შესაბამის ქცევებთან არის დაკავშირებული. ვიანიდან, როდესაც ადამიანი რაიმეს თავისი ნება-სურვილით აკეთებს, ეს უფრო მნიშვნელოვანია და აღმზრდელობით სახეს ატარებს. მარხვა ორ მხრივ სარგებელს შეიცავს. მათგან პირველი ადამაინის მარხვით შენაძენია. ვინაიდან მარხვა, როგორც სულიერ, ასევე მატერიალურ განწმენდად შეიძლება შევაფასოთ. ადამიანის სულიერი

განწმენდა მდგომარეობს იმაში, რომ იგი გონებასა და გულს ცუდი გრძნობების, ფიქრების, წადილისა და ქცევებისგან განარიდებს, სანაცვლოდ კი ის გონებასა და გულს კეთილი ფიქრების, ზრახვებისა და ქცევებისკენ მიმართავს.

სწორედაც ღვთისმსახურების ამ ფორმით ადამიანი ასეთი წესის ცხოვრებას იწყებს. ვინაიდან მატერიალურად მშიერი, ხოლო ღვთისმსახურებით სლიერებისკენ მიმართული ადამიანი, ისე როგორც იფიქრებს, შიმშილზე და წყურვილზე, ასევე თავისი გაჩენის არსის შესახებ განსჯას დაიწყებს. ეს ყველაფერი კი პიროვნებას ადამიანურ ფასეულობებს განუვითარებს და ხელს შეუწყობს მის აღმასვლას. აქვე აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ზნეობის შეძენა და შესაბამისად ცხოვრება იდეალურია. ამისათვის მარხვა და სხვა სახის ღვთისმსახურებები მნიშვნელოვანი და მიზანმიმართულია.

ასე რომ მარხვას, ცნობილი ყურანის განმმარტებელი ჰამდი იაზირი ასე ხსნის: „მარხვა, ვნების ბოროტებისა და უმოწყალობისგან განწმენდა, ხოლო გულის ალლაჰისკენ მიმართვა და რწმენის სიტკბოს შეგრძნებაა“. *(ელმალილი ჰამდი იაზირი, ჰაქ დინი ყურან დილი, ტ. 1, გვ. 2)*

ამრიგად ადამიანი, რელიგიური თვალსაზრისით შეეცდება ღვთისმოსავ პიროვნებად იცხოვროს. სწორედაც წმინდა ყურანის მიერ შექებული და იდეალური ადამიანის ცხოვრებაც ასეთია.

მარხვის ღვთისმსახურების მიერ შეძენილი მეორე მნიშვნელოვანი მხარე საზოგადოებას ეხება. ასე რომ ზნეობრივი და სულიერი გრძნობებით ჩამოყალიბებული ადამიანი, ინდივიდვალურ და საზგადოებრივ ცხოვრებაში სამართლიანობის ფასეულობით ცხოვრებას საკუთარ იდეალად იქცევს. ადამიანის ასეთი გრძნობებითა და აზროვნებით მოქმედება სოზგოდოებრივ ცხოვრებაზე დადებით ზეგავლენას ახდენს.

საზოგადოების თითოეული წევრის ასეთი გრძნობებითა და აზროვნებით მოქმედება, სოციალური ცხოვრების სიმშვიდესა და უსაფრთხოებას უზრუნველჰყოფს. ბუნებრივია ადამიანების უმრავლესობის სასურველი ცხოვრება, მშვიდი და უსაფრთხო გარემოა.

ამ თვალსაზრისით მარხვა, საზოგადოების სულიერი ატმოსფეროს ჩამოყალიბებასა და ძმური გრძნობების განმტკიცებას ხელს შეუწყობს.

საჰური და იფთარი

რამაზნის მთვარეში კიდევ ერთი ლამაზი ქმედება, საჰურზე გაღვიძება და საღამოს იფთარია. საჰური, ძილის ყველაზე ტკბილ მონაკვეთს ემთხვევა. ადამიანის ასეთ დროს გაღვიძება რაოდენ ძნელიც უნდა იყოს, სულიერების თვალსაზრისით სიმშვიდის წყაროა.

იფთარი ისე როგორც პიროვნული, ასევე ოჯახური და საზოადოებირვი გადასახედიდან ერთობისა და ძმობის გამოხატვის საუკეთესო სფეროა. იფთარი ინდივიდვალური თვალსაზრისით, პიროვნების სხვა ადანიანების მსგავსი გრძნობის გაზიარება, ოჯხური შეხედულებით წევრებს შორის სიყვარულისა და პატივისცემის განმტკიცების, ხოლო საზოგადეობრივი გადასახედიდან ერთობისა და ძმობების გამოხატულების გარემოს ქმნის. ღარიბი

ადამიანის მიერ მდიდრის სახლში იფთარის ჭამა, მის მიმართ ძმურ დამოკიდებულებას უყალიბებს.

მთვარე, რომელშიც ილოცება თარავის ნამაზი

ინდივიდვალური და საზოგადოებრივი ცხოვრების თვალთახედვით რამაზნის მთვარეში ღამით შესრულებული თარავის ნამაზს, ქალი –კაცი, დიდი –პატარა მდიდარი –ღარიბი, ახალგაზრდა –მოხუცი, ყველა ერთად ასრულებს. რაც მათი ურთიერთდაახლოებისა და ერთიანობის მიზეზი ხდება.

რამაზნის მთვარეში მეჩეთებში წაკითხული ქადაგებები და მუსლიმების გათვითცნობიერების მიზნით დასახული პროგრამებიც განსაკთრებულ მნიშვნელობას ატარებს. მსმენელები აქ შეძენილი რელიგიური ცოდნით საზოგადოების

წევრების მიმართ დადებით ზეგავლენას ახდენს. უფრო მეტიც ბევრი ადამიანი ამ დროს ცუდი ჩვევების მიტოვებას შეეცდება, რასაც ნაწილი წარმატებით ასრულებს.

მთვარე რომელშიც გაიცემა, ზექათი, მოწყალება და ფითრა

რამაზნის მთარის კიდევ ერთ ნიშანდობლივ მხარეს წარმოადგენს, მატერიალური ქველმოქმედება. ამ მთვარეში ძირითადი გასაცემი მოწყალება, ფითრაა. ის რამაზნის მთვარის დადგომიდან ბაირამის ნამაზის ლოცვამდე ღარიბებისთვის მისაცემი მოწყალებაა. შეიძლება ეს უბრალოდ და მცირედ მოჩანდეს, დღესასწაული ღარიბებმა მდიდრების მსგავსად მღელვარედ ვერ იზეიმონ, მაგრამ ეს მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა, რის საშვალებით ისინიც გახდებიან ამ მხიარულების მონაწილლეები. ვინაიდან გაცმული ფითრის მოწყალება, ღარიბის, უქონელის, ობოლისა და უთვისტომო ადამიანების სიხარულისა და მხიარულების მიზეზი ხდება და მათაც ექნებათ საშვალება სხვებთან ერთად მხიარულ ატმოსფეროში აღნიშნონ რამაზანის დღესასწაული.

გარდა ამისა, რამაზნი, ზექათისა და მოწყალობების გაცემის თვეა. ადამიანები განსაკუთრებით ამ მთვარეში შეეცდებიან, სიკეთე აკეთონ და ღარიბ-ღატაკის ცხოვრებაზე დაფიქრდნენ. ადამიანი, რომელიც მთელ დღეს მარხვაში ატარებს, სწორედ მაშინ გაახსენდება, ღარიბ-ღატაკი, მეზობლები, ნათესავები და ახლობლები. ამ თვალსაზრისით რამაზანი შეიძლება „სიკეთის მთვარედ“ შევაფასოთ.

მთვარე, რომლის დასასრული დღესასწაულია.

რამაზნის მთვარე, დღესასწაულით სრულდება. მთვარე, რომელიც დასაწყისიდან დასასრულამდე სილამაზით, ღვთისმსახურებით, მორჩილებით არის მოცული, ბოლოს კი ამ ყველაფერს რწმენით აღსავსე და სულიერებით დამტკბარი გულები, სიხარულითა და ენთუზიაზმით ეგებებიან.

ყადირის ღამე

გელა გოგიტიძე

რამაზნის მთვარე, რომელიც უამრავი სილამაზისა და ბარაქის შემცველია, და ასევე ინდივიდვალურ თუ სოციალურ ცხოვრებას თავისებურ სიცოცხლის ელფერს მატებს, ყველა მორწმუნეს აძლევს საშვალებას, ამ მთვარეში კიდევ ერთი სიხარულითა და მადლმოსილებით აღსავსე, ყადირის ღამე იზეიმონ.

ეს ის, ძვირფასი ღამეა, როდესაც გარდმოვლენა დაიწყო უზენაესი ალლაჰის სიტყვებმა და კაცობრიობას კიდევ ერთხელ მისცა საშვალება სამარადისო გადარჩენისა. და აი მას შემდეგ სიმშვიდისა და ნდობის სხივმა მოეფინა მთელ სამყაროს, როცა გაიხსნა ცის კაბადონი და მონანიების კარები.

უზენაესმა ალლაჰმა, ყადირის ღამეს, მის ღირსებასა და ისლამის სამყაროსთვის უდიდეს მნიშვნელობასთან დაკავშირებით, სურა ყადირი მოავლინა და მასში მკაფიოდ განმარტა ამ ღამის ნიშანდოლიობა მორწმუნეებისთვის.

1. უეჭველად ჩვენ იგი (წმინდა ყურანი) გარდმოვავლინეთ ყადირის ღამეს. 2. რას გამცნობს შენ, რას ნიშნავს ყადირის ღამე? 3. ყადირის ღამე ათას თვეზე უფრო უკეთესია, 4. ღვთის ნებით გადმოდიან ანგელოზები და სული ყველი ბრძანების შესასრულებლად. 5. ის ღამე ცისკრის ამოსვლამდე ბედნიერებითა და სიმშვიდითაა აღსავსე.

გარდა ამისა ყადირის ღამესთან დაკავშირებით უკეთილშობილესი შუამავალი გვასწავლის:

ის ვინც, რწმენითა და მადლის უზენაესი ალლაჰისგან მოლოდინით ყადირის ღამეს ღვთისმსახურებაში გაატარებს, ჩადენილი ცოდვები მიეტევება. (ბუჰარი სევმი 6)

წმინდა ყურანი, მართლაც ამოუწურავი ხაზინაა, რომლის კაშკაშა სხივი კაცობრიობის ყოველ ეპოქას მოიცავს. მისი ზნეობრივი და სრულყოფილების პრინციპები განკითხვის დღემდე თავისთვის ჩვეულ სინორჩეს შეინარჩუნებს.

ყურანი გონებისა და გულის მკურნალი დაუშრეტელი წყაროა. ადამიანმა მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ყურანის წყალობით შეიძლება, გაჩენილები გამჩენის სიყვარულით შეიყვაროს, რწმენა სიძლიერედ, სიყვარული მორჩილებად, ხოლო სიკვდილი მარადიულ სიცოცხლედ გაითავისოს.

ამ მადლმოსილებით აღსავსე ღამეს, შევეცადოთ განვკითხოთ საკუთარი თავი და ნებით თუ უნებლიედ ჩადენილი ცოდვების გამო გამჩენს პატიება შევთხოვოთ. ყადირის ღამეს, რომლის ჯილდოც განუსაზღვრელია, ვეცადოთ გულები და გრძნობები განვიწმინდოთ ცუდი და ბოროტი ზრახვებისგან. აგრეთვე ურთიერთსიყვარულისა და მიტევების მიმართულებით ახალი ნაბიჯები ჩვენვე გადავდგათ.

მიმდინარე წელს ყადირის ღამე 26 აგვისტოს აღინიშნება. უზენაესმა ალლაჰმა ყველა მორწმუნეს მოგვცეს ძალა და შესაძლებლობა იმისა, რომ ეს ღამე ღირსეულად გავატაროთ, გამჩენს წრფელი გულით შევთხოვოთ პატიება და გულმოდგინედ ვეცადოთ მისი კმაყოფილება დავიმსახუროთ.

ზექათი და მისი მნიშვნლობა

გელა გოგიციძე

ადამიანი ამქვეყნად მოვლენილ არსებებს შორის ყველაზე პატივცემულ არსებად იშვა. არსებითი განსხვავება ძლიერსა და სუსტს, ჯანმრთელსა და ავადმყოფს, ჭკვიანსა და სულელს, მდიდარსა და ღარიბს შორის, ნამდვილად ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და ჰარმონიას. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი სიმდიდრესა და სიღარიბეს უჭირავს, რომლებიც წარმოადგენენ ურთიერთსაპირისპირო ორ ეკონომიკურ საფეხურს. კაცობრიობის გამოცდილებიდან გამომდინარე, სიმდიდრე და სიღარიბე შეიცავს დიდ სიბრძნეს. მაგალითად, სიმდიდრე არ არის პატივისცემის ნიშანი ისევე, როგორც სიღარიბე-სიმდაბლისა. მათი ამ საფეხურებად დაყოფა დაუწერელი სიბრძნისა და თავისებურების გამოვლინებაა. უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

„ამქვეყნიურ ცხოვრებაში, მათი (ადამიანების) საარსებო საშუალებები, მათ შორის ჩვენ გავანაწილეთ. ერთმანეთის სამუშაოს შესასრულებლად ზოგიერთი (ის საარსებო საშუალება) სხვების მიხედვით საფეხურებად უფრო მაღლა დავაყენეთ.“ (სურა ზუჰრუფი, აიათი 3)

როგორც ამ აიათშია გამოხატული, დაყოფა სხვადასხვაგვარია, ვალდებულებებიც იმის მიხედვითაა მოწესრიგებული და საზოგადოებრივი წონასწორობა ყველაზე მშვენიერი ფორმითაა უზრუნველყოფილი.

იმისათვის, რომ შეძლებული ადამიანები სიმდიდრის მონებად არ იქცნენ, გაჭირვებულებს კი მდიდრების მიმართ არ გაუჩნდეთ სიძულვილისა და შურის გრძნობა, დაცული იყოს საზოგადოებრივი წესრიგი და პიროვნებები ერთმანეთს სიყვარულით დაუკავშირდნენ, ფარძად დაწესდა „ზექათი“ (ქონების გადასახადი). ისლამი-საზოგადოებრივად მოწესრიგებული სისტემაა, ღარიბსა და მდიდარს შორის წონასწორობისა და სიყვარულის უზრუნველსაყოფად. „ზექათი და მოწყალება“ - რო-გორც ღვთისმსახურება ძალიან მნიშვნელოვანია.

მდიდარი იმის მიხედვით განისჯება ალლაჰის წინაშე, თუ ქონებას საიდან მოიპოვებს და სად დახარჯავს, მისი მონაპოვარი ჰალალი იქნება თუ ჰარამი. ზექათს,

ზექათის გადახდისა და მოწყალების გაცემის ერთი საიდუმლო ისიც არის, რომ პიროვნების კაპიტალი ანომალურად არ გაიზარდოს და ამგვარად მან ეს სიმდიდრე შეუძლებელი ფენის მიმართ ბოროტად არ გამოიყენოს, ან მათ არ გაუჩინოს შურის გრძნობა.

მოწყალებას გაიღებს თუ არა, სიკეთეს იქმს თუ არა, რომ ის ვალდებულია თავისი ქონების გარკვეული ნაწილი ღარიბებს მისცეს. ეს ნიშნავს იმას, რომ მას გამოცდა მოუწყეს. ხოლო თუკი შეძლებს, რომ სხვებთან ერთად ეს გამოცდა წარმატებით ჩააბაროს, მოიპოვებს გამჩენის კმაყოფილებასა და სამოთხის სიკეთეებს.

ღარიბიც განისჯება თავისი სიღარიბის მოთმენა-მოუთმენლობის, ჩივილ-არჩივილის, ადამიანებისთვის ტვირთად ქცევა-არქცევის, აუცილებლობის გაუძლებლობისას სურვილის, სიძულვილის, შურის ქონა-არქონის, შეთქმულების მსგავსი საკითხების, სინდის-ნამუსის დაცვა-დაუცველობის მიხედვით. თუკი ამათი შედეგი ალლაჰის კმაყოფილებისთვის შესაბამისი იქნება, მისი ამქვეყნიური ტანჯვა იმქვეყნად მარადიულ ბედნიერებად გადაექცევათ.

ზექათი ყურანში ნამაზთან ერთად 27-ჯერაა ნახსენები. წმინდა შუამავალი იმ ადამიანის ნამაზს, რომელიც ზექათს არ იხდიდა, თვლიდა როგორც შეუსრულებელს. ის ერთ-ერთ წმინდა ჰადისში ბრძანებს:

„მას, ვინც ნამაზს ლოცულობს, მაგრამ ზექათს არ იხდის, ნამაზის მადლი არა აქვს!“ (ჰეისემი, მეჯმაუზ ზევაიდ, III, 62).

უეჭველია, რომ ეს მორწმუნეების წახალისებაა, რათა გადაიხადონ ზექათი და თანაც მიუთითებს ასეთი ღვთისმსახურების დიდ მნიშვნელობაზე.

ამ მიზეზით, კეთილშობილი აბუ ბაქრი, მათ, ვინც ნამაზს ლოცულობდა, მაგრამ ზექათს არ იხდიდა, ურწმუნოდ მიიჩნევდა, მათ ისლამის რჯულიდან გამოსულად თვლიდა და ომს უცხადებდა, ვინაიდან, ზექათი ალლაჰის მხრიდან დაწესებული მდიდრების მიერ ღარიბისთვის გადასახდელი ვალია. აიათში ნაბრძანებია:

„მათხოვარს (გაჭირვებულს) და ხელმოკლეს (ის, ვინც უმწიკვლობის გამო არ ითხოვს), (მდიდრების) ქონებაზედ განსაზღვრული უფლება აქვთ.“ (სურა ზარიათი, აიათი 19)

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„როცა ქონების ზექათს იხდით, დროთა განმავლობაში, ქონების დაგროვებისას, ღარიბების უფლებების შელახვით დაგროვებულ ვალს იხდით.“ (თირმიზი, ზექათი, 2)

აქედან გამომდინარე, ზექათი, ქონების საკმარისზე მეტი რაოდენობის მფლობელთათვის, ღმერთის მხრიდან ღარიბებისთვის მისაცემი გადასახადია. ამ შემთხვევაში უკან დარჩენილი ქონება ჰალალია. თანაც, ზექათად გადახდილ ქონებას ნაწილ-ნაწილ, ხარისხ-ხარისხ, საზოგადოება დაზარალებისას ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადაჰყავს. ამგვარად, ის საზოგადოებაში წონასწორობას, სამართალსა და ზნეობას ამკვიდრებს. მდიდრის სიმდიდრეს აკეთილშობილებს რაც ქონების პატრონისთვის სრულიად ჰალალი იქნება.

როცა ქონებას ცნობილი გზებით მოიპოვებს, მის პატრონს სჭირდება, რომ ის ჰალალი იყოს, ხოლო თუკი არ გადაუხდის ღარიბებს იმ წილს, რომელზეც უფლება აქვთ, ის სრულყოფილად ჰალალი ვერ იქნება.

მეორე მხრივ, ჰარამი, გზით მოპოვებულ ქონებაზე ზექათის გადახდა, მას ჰალალს ვერ გახდის.

ზექათის მნიშვნელობა პიროვნებისა და საზოგადოებისთვის

საზოგადოების დაზარალებული ფენის გასახარად ზექათს მისი გადამხდელისთვის უფრო დიდი მოგება მოაქვს. სინამდვილეში, „სისპეტაკისა“ და „უბრალოების“ მნიშვნელობის მატარებელი ზექათი, ადამიანების გულებს ავადმყოფობისა და ბოროტებისგან წმენდს ან მათი ქონების გაწმენდას უზრუნველყოფს. ამგვარად, გულის გაწმენდა, სულის სისპეტაკის მოპოვება, მისი რეაბილიტაცია და ლტოლვის დაოკება შუამავლის მოვლენის საოცრებათაგან ერთ-ერთია.

„ზექათისა“ და „მოწყალების“ მნიშვნელობას კარგად თუ გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ეს ღვთისმსახურება ადამიანის სულს, პიროვნებასა და ხასიათს მატერიალიზმის მონობისგან ათავისუფლებს.

ამავე დროს, ზექათი გადამხდელ და მიმღებ პიროვნებებს შორის პატივისცემასა და სიყვარულს განამტკიცებს. ზექათი გადამხდელის მიერ გაჭირვებულისთვის მისაცემი მინიმალური გადასახადია. სრულყოფილი მორწმუნეები თავიანთ სიმდიდრეს გულუხვი მოწყალებით ამკობენ.

ამქვეყნად, უძველესი დროიდან მოყოლებული, ყოველთვის არსებობს მდიდარსა და ღარიბს შორის უთანხმოება. უმეტესწილად, ღარიბები მდიდრებს სიძულვილითა და შურით უცქერიან, მდიდრები კი ღარიბებს უბრალო ან საცოდავ ადამიანებად თვლიან და მათ სიამაყით ზემოდან დაჰყურებენ და არარაობად მიაჩნიათ. ამათგან გამონაკლისია ის პერიოდები, როცა საზოგადოება ღმერთის რწმენის ქადაგების შედეგად იყო ალტრუისტი, მოწყალე, გულისხმიერი, ძმობით შთაგონებული და ყოველივე ამის გამო იხდიდა ზექათსა თუ მოწყალებას. ისლამის მიხედვით, ღარიბები ცუდად მოსაპყრობი ადამიანები არ არიან, პირიქით, ისინი არიან ადამიანთა ის ნაწილი, რომელიც საზოგადოებამ უნდა გამოკვებოს და სიყვარული აჩვენოს. ასე რომ, ისინი საზოგადოებისთვის ბარაქისა და წარმატების წყარო არიან. უზენაესი ალლაჰი, შუამავალს უბრძანებს ღარიბ თანამიმდევრებთან იყოს და მათ მეთვალყურეობა გაუწიოს.

„(შუამავალო!) ღმერთის სრული კმაყოფილება ისურვე და დილა-საღამოს ღმერთის მხსენებლებთან ერთად (იყავი)! მოითმინე! ამქვეყნიური ცხოვრების მორთულობის სურვილით, თვალები მათგან არ შეატრიალო!“ (შურა ქეჰფი, აიათი 28)

ქვემოთ მოცემული წმინდა ჰადისი ნათლად აჩვენებს, რომ ღარიბები ისლამურ საზოგადოებაში ტვირთი არ არის, პირიქით, სიუხვისა და ბარაქის წყაროა.

აბუ დერდა ალლაჰის შუამავლის შემდეგ ნათქვამს გადმოგვცემს:

„მე უძლურები დამიძახეთ, რადგან თქვენ მხოლოდ მათი (ვედრებითა და ბარაქით) მოგეცემათ სარჩო და დახმარება!“ (ბუჰარი, ჯიჰადი, 76)

წმინდა შუამავალი ბრძანებდა:

„ალლაჰი ამ ერთმორწმუნეთ, სუსტების ვედრების, ნამაზისა და პატიოსნების მიზეზით ეხმარება.“ (ნესაი, ჯიჰადი, 43)

ომარ იბნ აბდულაზიზის პერიოდში გუბერნატორებმა ხალიფას რჩევა თხოვეს იმის გამო, რომ „ვერ იპოვეს ადამიანი, ვისთვისაც ზექათის გადახდა შეიძლებოდა.“ ყველა შეძლებული იყო და ყველა იხდიდა ზექათს. ამის გამო, ომარ იბნ აბდულაზიზის პერიოდი ოთხი დიდი ხალიფას პერიოდის შემდეგ, ყველაზე ბრწყინვალე ხანად ითვლება. სწორედ ასეთი კარგი მდ-

გომარეობა უდიდესი ღმერთის გამო ქონებრივი და სულიერი სარჩოს გაცემით მოპოვებული ღვთიური წყალობის გამოვლინებაა.

უნდა ვიცოდეთ რა ედო საფუძვლად ოთხი დიდი ხალიფას შემდეგ ისლამური სამყაროს ბრწყინვალების პერიოდში მცხოვრებ ომარ იბნ აბდულაზიზის კეთილშობილებას. არ არის საიდუმლო, რომ ამ პიროვნების მაღალი სული ხელს უწყობდა იმ ეპოქაში ისლამის აყვავებასა და საზოგადოების სულიერი ბრწყინვალების აღმავლობას.

ყოველმა მორწმუნემ მატერიალური თუ სულიერი მოწყალება თანაგრძნობით, გულისხმიერებითა და ლმობიერებით აღსავსემ უნდა გაიღოს

აი, ისლამი, კაცობრიობის მდიდრებისა და ღარიბების ჭრილობებს, ასე წარმატებით მკურნალობს. ისლამის გარდა ვერც რაიმე სისტემამ და ვერც რელიგიამ მსგავს წარმატებას ვერ მიაღწიეს და ორ უკიდურესობაში გადავარდნენ. ვიღაცისთვის რაიმეს მოთხოვნა სავსებით აიკრძალა, ვისთვის მოთხოვნა ჩვეულებრივ ამბად ითვლება. ისლამი კი ზექათის გადახდითა და მოწყალების გაცემით ამ პრობლემას უკიდურესად ბრძნულად მოექცა და ყველაზე ღირსეული გამოსავალი მოუძებნა.

მართლაცდა, ზექათი კაცობრიობისთვის ისლამის მიერ მოპოვებულ უმაღლეს ღირებულებათაგან ერთ-ერთია. ზექათი საზოგადოების ღარიბი, დაზარალებული, გზაში დარჩენილი, ობოლი და ქვრივი ადამიანების გაჭირვებას აღმოფხვრის. ამავე დროს, ადამიანზე დადებული მონობის უღელი კვლავ ისლამმა ახსნა. უეჭველია, რომ ისლამის მიერ მონებზე თავისუფლების მინიჭებისთვის ყველაზე ეფექტურ გამოსავალი კვლავაც ზექათი და მოწყალებაა.

ისლამმა ძნელ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანებს ხელი ისე გაუწოდა, რომ სანაცვლოდ არაფერი მოუთხოვია, გახსნილ ჭრილობას, რომლიდანაც სისხლი მოდიოდა, თავიდანვე უმკურნალა. ამავე დროს აიკრძალა პროცენტის აღება, რომელიც ჩანს როგორც ადამიანებისთვის დახმარების გაწევა და საქმის გაადვილება, სინამდვილეში კი, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ის გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანების ექსპლუატაციაა და მეტი არაფერი.

ვინაიდან მევახშეს სურს სხვების დარდისგან სარგებლის შოვნა, ხოლო ზექათის გამცემი ადამიანი კი გაჭირვებულებისა და სადარდებელში ჩავარდნილი ადამიანების დარდის გამზიარებელია. მისი ერთადერთი

სურვილი გამჩენის კმაყოფილების მოპოვება და ამ მიზნით დარდიანი ადამიანების წამლად გახდომაა.

ძუნწ ადამიანს, რამდენი ქონებაც უნდა ჰქონდეს, მცირედ ეჩვენება. ხოლო ადამიანები, რომლებიც ზექათის გადახდასა და მოწყალების გაცემას არიან მიჩვეული, მდიდარი გული აქვთ. ამქვეყნად ცოტა რამ ჰყოფნით. მევახშე იმდენად ძუნწი ადამიანია, რომ თავის ქონებას ზრდის სხვისი განადგურების ხარჯზე. მსოფლიოს სავაჭრო ცენტრების უმრავლესობაში ამის მაგვარი ბევრი შემთხვევის ნახვაა შესაძლებელი. ამ ჭეშმარიტების გამომხატველ აიათში ნაბრძანებია:

„ალლაჰი კრძალავს პროცენტს და ამრავლებს წყალობებს...“ (სურა ბაყარა, აიათი 276)

ის, ვინც მევახშეობითაა დაკავებული, თავის ქონებას ბარაქას აცლის. ეს უბარაქობა იმქვეყნად გაკოტრებას ნიშნავს. გაკოტრება შეიძლება ამქვეყნადაც მოხდეს და უსამართლოდ მოპოვებული მთისოდენა სიმდიდრე უბედურების, ავადმყოფობის საშუალებით თუ მფლანგველი მემკვიდრის ხელით, ქარმა წაიღოს.

ზექათის გადახდისა და მოწყალების გაცემის ერთი საიდუმლო ისიც არის, რომ პიროვნების კაპიტალი ანომალურად არ გაიზარდოს და ამგვარად მან ეს სიმდიდრე შეუძლებელი ფენის მიმართ ბოროტად არ გამოიყენოს, ან მათ არ გაუჩინოს შურის გრძნობა. ამგვარად, სიმდიდრე ქებისა და განდიდების საშუალება რომ ყოფილიყო, მდიდრისთვის სამწუხარო შედეგი ექნებოდა. ასე რომ, საზოგადოებაში ორივე მხარე — დამხმარეცა და ის, ვისაც ეხმარებიან, მორალურად და მატერიალურად ერთმანეთზე არიან დამოკიდებული. ეს კი ღვთიური რეგულირების, სიბრძნისა და საოცრების გამოხატულებაა.

უნდა ვიცოდეთ, რომ ქონება ალლაჰის საკუთრებაა. ადამიანებისთვის ამქვეყნიური ქონება გადაბარების სისტემაა. ამქვეყნად მოსული ყოველი ადამიანი იძულებულია გარკვეული დროის გასვლის შემდეგ თავისი ქონება სხვას გადააბაროს და ამქვეყნიდან წავიდეს.

„ცისა და მიწის ქონება ალლაჰს ეკუთვნის. ალლაჰი ყველაფერზე მაღლა მდგომია!“ (სურა ალი იმრანი, აიათი 189)

მდიდარი იმის მიხედვით განისჯება ალლაჰის წინაშე, თუ ქონებას საიდან მოიპოვებს და სად დახარჯავს, მისი მონაპოვარი ჰალალი იქნება თუ ჰარამი. ზექათს, მოწყალებას გაიღებს თუ არა, სიკეთეს იქმს თუ არა, რომ ის ვალდებულია თავისი ქონების გარკვეული ნაწილი ღარიბებს მისცეს.

შუამავლის რამაზანი

თარგმნა: გ. ხოზრევანიძემ

ყოველწლიურად ყველა მუსლიმანი ვალდებულია რამაზნის თვეში დაიცვას მარხვა. ჯერ კიდევ ჰიჯრით მეორე წელს ღვთისმსახურების ეს ფორმა ფარძად იქცა – პრაქტიკულ ცხოვრებაში კი მუსლიმანებისათვის სავალდებულო შესასრულებლად. ამ თვეში ასჰაბი ალ-ქირამები შუამავალსა (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) და მის ღვთისმოსავ თანამოაზრეებთან ერთად ცხრა წლის განმავლობაში მარხულობდნენ. იმ ეპოქას „ალ-ასრი-საადათს“ - საუკეთესო თავდადებულობისა და მაღალი სულიერი აღმავლობის დროს უწოდებენ. ცპირველი რამაზნისაგან მემკვიდრეობით მუჰამმედ შუამავლის (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) ბევრი სასარგებლო დარიგებანი დაგვრჩა.

მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს.

რამაზნისათვის მზადება

რამაზნის დადგომამდე წინამდებარე ორი დალოცვილი თვის (რეჯები და შაღბანი) განმავლობაში ალლაჰის შუამავალი (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) რამაზნის მომზადებისათვის სპეციალურ საუბრებსა და დარიგებებს ატარებდა. იბნ ჰაბბანი და სელმან ფარისი გადმოგვცემენ, რომ შაღბანის თვის უკანასკნელ დღეს ალლაჰის შუამავალი (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) კითხულობდა რა დამრიგებლურ ხუთბე-ქადაგებას, თქვა: „ხალხო! თქვენ უდიდესი და დალოცვილი თვე დაგიცავთ – თვე, რომელშიც არის „ლეილეთულ-ყადრ“-ის ღამე ათასი თვიდან ერთ-ერთი საუკეთესო; თვე, რომელშიც ალლაჰმა დღისით მარხვა ბრძანა და ფარძად (სავალდებულო შესასრულებელი) გამოაცხადა, ხოლო ღამით კი - ნაფილე ნამაზისა და თარავის (რამაზანში სპეციალურად შესასრულებელი ლოცვა) შესრულება. ვინც ამ თვეში კეთილი სააქმეების შესრულებით მიუახლოვდება ალლაჰს – ეს სხვა თვეებში შესრულებულ ფარძის მსგავსი იქნება, ხოლო ვინც ამ თვეში ფარძს შეასრულებს – ეს სხვა თვეებში ოცჯერ შესრულებული ფარძის ტოლფასი იქნება. ეს მოთმენის თვეა. მოთმინებისათვის კი ჯილდო – სამოთხეა“ (იმამ მუნზირი, ათ-თერთიბ).

უბადა ბინ სამიტი (რადიელლაჰუ ენჰუ) აგრეთვე გადმოგვცემს, რომ, როდესაც დადგა რამაზანის თვე, მუჰამმედ შუამავალმა (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) ერთ-ერთ დღეს ასე თქვა: აი მოვიდა მადლიანი თვე რამაზანი, რომელმაც თქვენ ალლაჰის წყალობა მოგიტანათ. ამ დღეს

დედამიწაზე უამრავი წყალობა გარდმოევლინება, პატიობენ ცოდვებს და იღებენ დუას (ვედრება). თუ ალლაჰი ღვთისმსახურებაში თქვენს გულმოდგინებას დაინახავს – თქვენ საკუთარ ანგელოზებს შორის განდიდებული იქნებით. ეს ისეთი ღვთისმსახურებაა, რომლის საშუალებითაც თქვენ ალლაჰს შეიყვარებთ. თუ ვინმეს უბედურება ელოდება, მაშინ, ალლაჰის წყალობით, თქვენ მას აიცილებთ“ (იმან მუნზირი, „ათ-თართიბი,“ 2/96).

ჩვენამდე მოაღწია ებუ ჰურეირეს (რადიელლაჰუ ენჰუ) მიერ ალლაჰის შუამავლისაგან (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) მოსმენილი შემდეგი ამბავი: „თქვენთან მოვიდა დალოცვილი თვე – თვე რამაზნისა. ამ თვეში უდიდესამა ალლაჰმა თქვენთვის მარხვა სავალდებულო გახადა. ამ თვეში ზეციური კარები იხსნება (რათა ღვთისმსახურება ამაღლდეს), ხოლო ჯოჯოხეთის კი – იკეტება. ჭნებისმიერი ბორეტება დაუშვებელია, შაითანთა ჯაჭვს ძალა წყვეტს. ამ თვეში, რომელიც ალლაჰს ეკუთვნის არის ღამე, რომელიც სხვა ათას ღამეზე უკეთესია. ვინც ამ ღამეში კარგ საქმეებს მოასწრებს, ჭეშმარიტად, (დიდ სიკეთეში) წარმატებას მიაღწევს“ (ნასაი, საუმ, 2079; ბუჰარი, საუმ, 1765-1766; მუსლიმ, საუმ;1793).

საჰურის სიკეთე

მუჰამმედ შუამავალი (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) თავის უმმეთს დაჟინებით ურჩევდა საჰურისათვის გაღვიძებოდათ განთიადის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე, საჭმლის მიღების დროისათვის. ამ თემაზე არსებობს უამრავი ჰადისი, კერძოდ, შემდეგი: „საჰურის საჭმელში სიუხვეა დაფარული. თქვენგან საჰურს ის შეასრულებს, ვინც თუნდაც ერთ ყლუპ წყალს დალევს. საჰურისათვის გაღვიძებულების და საჭმელ-სასმელის მიმღებლებისადმი ალლაჰი შემწყალებელია, ხოლო ანგელოზები მისთვის პატიებას თხოვენ“ (აჰმად ბინ ჰანბალ, მუსნად, 3/44).

ღვთისმსახურება რამაზანში

რამაზანი – ეს ახირეთის (იმ ქვეყნის), საყაროს მუდმივობასთან დამაახლოებელი ბაზრობაა, სადაც ყველა ვაჭრობა მომავლის ზომების შესაბამისად ხდება. ეს თვეა განსაკუთრებული ღვთისმსახურებისა. რამაზნის მოსვლასთან ერთად ალლაჰის შუამავალი (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) ღრმა ლოცვების მდგომარეობაში იმყოფებოდა, ნამაზების რაოდენობას ზრდიდა, ყურანისეული ფორმულების დახმარებით უფრო ხანგრძლივ ზიქრს (ალლაჰის ხსენება) ასრულებდა და ყურანს ბევრს კითხულობდა. წმინდა თვის უკანასკნელ ათ დღეს ის ღვთისმსახურების სხვადასვა სახის შესრულებით იყო დაკავებული.

შუამავლის თანამოაზრეების მოწმობით ალლაჰის შუამავალი (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) ყოველი რამაზნის განსაზღვრულ ღამეს ჯებრაილ (ალეიჰისელლამს) ხვდებოდა და ისინი ამ დროს რიგრიგობით ყურანს კითხულობდნენ.

„ის, ვინც თარავის ნამაზს ალლაჰისაგან ჯილდოს იმედით შეასრულებს, მას წარსული ცოდვები ეპატიება“

(რიად-უს-სალიხინ, 2/ 463).

„საჰურის საჭმელში სიუხვეა დაფარული. თქვენგან საჰურს ის შეასრულებს, ვინც თუნდაც ერთ ყლუპ წყალს დალევს. საჰურისათვის გაღვიძებულების და საჭმელსასმელის მიმღებლებისადმი ალლაჰი შემწყალებელია, ხოლო ანგელოზები მისთვის პატიებას თხოვენ“

(აჰმად ბინ ჰანბალ, მუსნად, 3/44).

განსაკუთრებული სიუხვე და სათნოება

ალლაჰის შუამავალს (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) ასჰაბები (შუამავლის თანმიმდევრები) იცნობდნენ, როგორც ადჯვადან-ნას ვე აჰსანან-ნას - ადამიანთაგან ყველაზე უხვსა და უკეთესს. მივსდევთ რა მის მაგალითს ყოველმა მუსლიმანმა რამაზნის თვეში უნდა ეცადოს გამოავლინოს, რაც შეიძლება უფრო მეტი გულთბილობა და სიუხვე. შუამავალის (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) დისწული – იბნ აბბასი გადმოქვცემს: „ალლაჰის შუამავალი (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) თავისი თვისებებით ადამიანთაგან ყველაზე უხვი და გულთბილი იყო. ის ამ თვისებებს უფრო ძლიერ მარხვის თვეში ავლენდა. ჯებრაილ (ალეიჰისელლამი) ყოველი რამაზნის დადგომისას ალლაჰის შუამავალს ხვდებოდა და მასთან ერთად მთელი თვის განმავლობაში იმყოფებოდა. ასეთი შეხვედრების დროს ალლაჰის შუამავალი (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) მსუბუქ ნიავის ქროლვაზე უფრო უხვი იყო (მუსლიმ, ფადაილ, 50).

იფთარის წესები

მუჰამმედ შუამავალის (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) იფთარი-გახსნილება მთლიანად მსგავსი არ იყო ჩვენი იფთარისა - არ იყო სავსე სხვადასხვა საჭმელებით. გარდა ამისა მას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მაძღრისად არ უჭამია. ამ ამბავთან დაკავშირებით შუამავალის (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) მეუღლე აიშა (რადიელლაჰუ ენჰუ) შემდეგს მოგვითხრობს: „ალლაჰის შუამავალის (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) სიკვდილის შემდეგ, პირველი უბედურება, რომელსაც უმმეთი (საზოგადოება) გაიგებს – ეს ღორმუცელობაა.“იფთართან დაკავშირებით ანასი (რადიელლაჰუ ენჰუ) მოგვითხრობს, რომ ალლაჰის შუამავალი (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) მაღრიბის (საღამოს ლოცვა) შესრულებამდე რამოდენიმე ახალი ხურმით იწყებდა იფთარს (გახსნილება), როდესაც ვერ პოულობდა ახალ ხურმას – გამხმარი ხურმით იფთრობდა, როდესაც ამ გამხმარ ხურმასაც ვერ პოულობდა – რამოდენიმე ყლუპ წყალს სვამდა“ (ებუ დაუდი, საუმ 22, 2556; თირმიზი, საუმ, 10).

ჯმუაზ იბნ ზუჰრა დამატებით გადმოგვცემს: „ჩემთან მოსული ალლაჰის შუამავალი (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ იფთარს ასეთი დუით (ვედრება) იწყებდა (ალლაჰისადმი ვედრება): „ელლაჰუმმე ლექე სუმთუ ვე ალე რიზღიქე

იფთარქე“ (ო, ალლაჰ, შენი ხათრისათვის ვმარხულობ და შენივე ბოძებული სარჩოთი იფთარს ვაკეთებ)“ (ებუ დაუდ, საუმ, 22).

ჯმარუანა ბინ სალიმისა და იბნ ომარის (რადიელლაჰუ ენჰუ) გადმოცემით, ალლაჰის შუამავალი (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) იწყებდა რა თავის მარხვას, ასე ამბობდა: „ალლაჰის წყალობით წყურვილი ჩაცხრება, ხოლო ძარღვები სასიცოცხლო ტენით აღივსება და მადლი იქნება ბოძებული“ (ებუ დაუდ, საუმ, 22).

„თარავის“ ლოცვა

ალლაჰის შუამავალი (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) თარავის ნამაზს საუკეთესო საჩუქრად, მუსლიმანებისათვის წარმატებად თვლიდა და ყოველთვის მის შესრულებას ურჩევდა. ამ თემასთან დაკავშირებით ასეთი ჰადისი არსებობს: „ის, ვინც თარავის ნამაზს ალლაჰისაგან ჯილდოს იმედით შეასრულებს, მას წარსული ცოდვები ეპატიება“ (რიად-უს-სალიხინ, 2/ 463).

ალლაჰის შუამავალის (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) დროს თარავის ნამაზი მეჩეთში არ სრულდებოდა. მან ეს ლოცვა თავის თანამოაზრეებთან ერთად მხოლოდ რამოდენიმეჯერ შეასრულა. ჯმხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ, ომარის (რადიელლაჰუ ენჰუ) მმრათველობის დროს, შუამავლის სუნნეთის გათვალისწინებით, მუსლიმანებმა იდჯითიჰადი (ერთიანი გადაწყვეტილება) მიიღეს: კოლექტიური ნამაზი თარავი მეჩეთში შეესრულებინათ.

იჰთიყაფი

იჰთიყაფი – ეს არის განსაზღვრული წესების დაცვით მეჩეთის ტერიტორიაზე ყოფნა, რომელიც მუჰამმედ შუამავლის (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) სუნნეთს განეკუთვნება და მისი შესრულება რამაზნის თვეშია საჭირო. იმის შესახებ თუ როგორ ასრულებდა ყოველივე ამას მუჰამმედ შუამავალი (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ), დაწვრილებით აიშე (რადიელლაჰუ ენჰუ) მოგვითხრობს: „რამაზანის უკანასკნელი ათი დღის დადგომისთანავე ალლაჰის შუამავალი (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) ღამეს ღვთისმსახურებაში ატარებდა, ამისათვის ის აღვიძებდა ადამიანებს, აგრეთვე მთელ თავის ოჯახს და სხვა დროებთან შედარებით ღვთისმსახურებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამისათვის უდიდეს გულმოდგინებას ავლენდა“ (მუსლიმი, იჰთიყაფი,7). ამ საკითხთან დაკავშირებით აიშე (რადიელლაჰუ ენჰუ) დამატებით გადმოგვცემს: „ალლაჰის შუამავალი თავის გარდაცვალებამდე რამაზნის უკანასკნელ ათ დღეს იჰთიყაფის მდგომარეობაში შედიოდა და ასე ამბობდა: „რამაზნის უკანასკნელ ათ დღეში ეძებეთ „ლეილეთ-ულ-ყადრ“-ის ღამე. ალლაჰის შუამავალის (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) შემდეგ მისი მეუღლეებიც იჰთიყაფის მდგომარეობაში შედიოდნენ“ (ბუჰარი, ფადლიუ ლეილეთ-ულ-ყადრ, 3, იჰთიყაფი, 1, 14; მუსლიმ, იჰთიყაფი, 5, 1172; მუვათთა, იჰთიყაფი, 7, 1, 316; თირმიზი, საუმი, 71, 790, ნასაი, მასადჯიდ, 18, 2, 44; ებუ დაუდი, სიამ, 77, 2462, 2464; იბნ მაჯა,სიამი, 59,: 1771).

ალლაჰის შუამავალის (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) იჰთიყაფთან დაკავშირებით ებუ ჰურეირე (რადიელლაჰუ ენჰუ) გადმოგვცემს: „ყოველი რამაზნის უკანასკნელ ათ დღეს ალლაჰის შუამავალი (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) იჰთიყაფში შედიოდა. თავისი გარდაცვალების წელს კი ის იჰთიყაფში ოც დღეს იმყოფებოდა“ (ბუჰარი, იჰთიყაფი, 17; ებუ დაუდი, საუმ, 78,: 2466; იბნ მაჯა, სიამ, 58, 1769).

რაც შეეხება იჰთიყაფის ღირსებას, იბნ აბბასი ალლაჰის შუამავალის (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) შემდეგ სიტყვებს გადმოგვცემს: „მისი (იჰთიყაფის შემსრულებელის) ცოდვები დაიფარება და ის მხოლოდ სიკეთის გამკეთებლის ტოლფას ხვავსა და ბარაქას შეიძენს“ (ქუთუბ-უს-სითთა მუჰთასარი, 6512).

მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, მუსლიმი ზინედინ ზიდანი

გიორგი ჯამლაძე

დაიბადა 1972 წლის 14 ივნისს საფრანგეთის საკურორტო ქალაქ მარსელის ჩრდილოეთ გარეუბან ლა კასტელანში, სადაც 1953 წელს ალჟირის ომის დაწყებამდე ამ აფრიკული ქვეყნის კაბილიის ოლქიდან მისი მშობლები გადასახლდნენ. ზინედინი და-ძმებში ყველაზე უმცროსი იყო. ჯმის გარდა ოჯახში კიდევ ოთხი ბავშვი იზრდებოდა. და ლილა, ძმები-ჯამელი, ფარიდი და ნორდინი.ზიზუს მამა ერთ-ერთ უნივერმაღში შავ მუშად მუშაობდა, ხოლო დედა დიასახლისი იყო. ჭოჯახი იმდენად პატარა ოთახში ცხოვრობდა, რომ ჭამის დროს მშობლებსა და შვილებს სუფრაზე დაჯდომა მორიგეობით უხდებოდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმის გამო, რომ ზიზუს მამას მუდმივი სამუშაო ჰქონდა, ოჯახი არცთუ ისე ცუდად ცხოვრობდა. ჯმარსელის ეს გარეუბანი ცნობილი იყო უმუშევრობისა და დამნაშავეობის მაღალი დონით. ღპატარა ზიზუ ფეხბურთის გარდა ძიუდოთიც იყო გატაცებული და სპორტის ამ სახეობაში მწვანე ქამარიც კი ჰქონდა.იგი ასევე დაინტერესებული იყო ველოსიპედითა და სკეიტბორდინგით, მაგრამ მისი მთავარი ნიჭი მაინც ფეხბურთში გამოვლინდა. ჯმან თამაში თავისნაირი, წარმოშობით ძირიტადად, ალჭირელი და მაროკოელი პატარეების გვერდით დაიწყო

სემდგომში ეს მისწრაფება პროფესიულ კარიერაში გადაიზარდა. 10 წლის ზიზუმ ფეხბურთელის ლიცენზია მიიღო, სენ-ანრის ადგილობრივი კლუბის უმცროს გუნდში ჩაირიცხა. წლინახევრის შემდეგ ის სეტემ-ლე-ვალლონის კლუბში გადავიდა, სადაც 14 წლამდე თამაშობდა. აქ ის ცნობილი ფრანგული საფეხბურთო კლუბის „კანის“ სკაუტმა ჟან ვარომ სეამჩნია და კლუბის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელ ჟილ რამპილონის წინაშე რეკომენდაცია ერთკვირიანი დაკვირვების შემდეგ, მისი მშობლები დაარწმუნეს იმაში, რომ ბავშვი კანის ბავშთა გუნდში გაეშვათ. 2 წლის შემდეგ, 1989 წლის 20 მაისს, მაშინ, როდესაც ზიდანი ჯერ კიდევ 17-ის არ იყო, შედგა მისი დებიუტი საფრანგეთის ეროვნულ ჩემპიონატში. ეს მოხდა „ბოჯუარის” სახელობის სტადიონზე „ნანტთან“ თამაშის დროს. იმ დროისათვის კანი მწვრთნელი იყო ლუის ფერნანდესი. „მე გამომიყვანეს შეცვლაზე, მეორე ტაიმში, 15 წუთით, მაგრამ ისეთი ოსტატების გვერდით,როგორებიც იყვნენ ზლატკო ვუოვიჩი და რუდი კროლი. მაშინ ბურთს სამჯერ შევეხე, მაგრამ შემდგომში

არასოდეს მიგვრძნია თავი ასე ბედნიერად, როგორც მაშინ.“

იმ დროისათვის ზიდანი ხელფასის სახით 800 ფრანკს იღებდა. ამ ფულით ცხოვრება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ის გუნდის ბაზაზე ცხოვრობდა და ყველა საჭირო პირობებით იყო უზრუნველყოფილი და, რა თქმა უნდა, მშობლებიც არ ივიწყებდნენ.

1992 წელს ზინედინ ზიდანი გადადის „ბორდოში“, ხოლო ევროპის 96 წლის ჩემპიონატის შემდეგ იუვენტუსში“. თავიდან მას გაუჭირდა, მაგრამ შემდეგ ის გუნდის დირიჟორი და შეუცვლელი ფეხბურთელი გახდა. რა მისცა იტალიამ ზიდანს?

-ის საბოლოო გამელოტდა -იცინის კიდევ ერთი გამოჩენილი ფრანგი ფეხბურთელი, იუვეს მაშინდელი საყრდენი ნახევარმცველი, დიდიე დეშამი- ხოლო სერიოზულად მან ძალიან მოუმატა ტაქტიკური კუთხით და ფსიქოლოგიურადაც, ადრე უფრო მორცხვი იყო, ახლა კი თავის თავში დარწმუნებულია. რაც შეეხება თამაშს, აქ ზიდანს დაკისრებული აქვს შეტევის დაწყება და როცა მას თამაში წაუვა, მაშინ იუვეს შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელია. ძლიერმა ფეხბურთელმა თავისი თავი რთულ მომენტებში უნდა გამოავლინოს, ზიდანმა ეს შეძლო.”

2001 წლის 9 ივლისი, სამეფო კლუბის ფანებისთვის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი დღეა. ამ დღეს „რეალის“ საპატიო პრეზიდენტმა ალფრედო დი სტეფანომ ჟურნალისტების თანდასწრებით ზინედინ ზიდანს 5 ნომრიანი მაისური გადასცა „ეს დიდი პატივია ჩემთვის” – მისთვის დამახასიათებელი მოკრძალებით აღნიშნა ზიდანმა, იმ დროისათვის მსოფლიოში უკვე ყველაზე ძვირადღირებულმა ფეხბურთელმა. „რეალმა“ იმ დღესვე დაიწყო ზიდანისთვის გაცემული თანხის ამოღება, მიუხედავად იმისა, რომ „რეალის“ მაისური 80 დოლარი, ღირდა ხუთნომრიანი მაისურები მაღაზიებში პრატიკულად აღარ იშოვებოდა. კლუბმა ერთ-ერთი სატელევიზიო არხიდან, ერთი მილიონი დოლარი მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ ზიდანის პრეზენტაცია ეჩვენებინა, ასე რომ ისევე როგორც საფეხბურთო, ასევე ფინანსური თვალსაზრისითაც მისი „რეალში“გადაბირება დადებითად შეფასდა.

ზიდანის გადასვლის შემდე „რეალის“ მაისური ისეთმა ვარსკლავებმა მოირგეს, როგორებიც იყვნენ, ლუიშ ფიგუ, რონალდო, დევიდ ბექჰემი„რეალის“ აბონენტების საყიდლად უსასრულო რიგები შეიქმნა, პუბლიკა საოცარ თამაშებს ელოდა, რომელშიც მონაწილეობას ყველა ეს ვარსკვლავი მიიღებდა.

ზიდანი შესანიშნავად შეეწყო მადრიდის რეალს, ყოველი მისი თამაში გულშემატკივრისთვის საოცარ სპეკტაკლს ჰგავდა, ხოლო ის რაც ზიდანმა 2002 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალშიგააკეთა, დღესაც დაუვიწყარია კლუბის თითოელი ფანისთვის. იმ დღეს ერთმანეთს „რეალი“ და ლევერკუზენის ბაიერი დაუპირისპირდნენ, მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, იმ დროს, როდესაც ანგარიში 1-1 იყო, რობერ-

ტო კარლოსის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ ზიდანმა ენითაღუწერელი სილამაზის გოლი გაიტანა და კიდევ ერთხელ დაარწმუნა მთელი მსოფლიო, რომ ის საუკეთესოთა შორის საუკეთესო იყო.

მომდევნო წლები ზიდანი რეალთან ერთან შესანიშნავად თამაშობდა, 2003 წელს ის ესპანეთის ჩემპიონი ხდება. შემდეგ კლუბის ჩავარდის დროება იწყება, რაც ერთის მხრივ, გამოწვეული იყო, პერესის შეცდომით, მან მწვრთნელი დელ ბოსკე დაითხოვა და გუნდიდან ყველანაირი ახსნა-განმარტების გარეშე კაპიტანი ფერნანდო იერო.გაუშვა.

1994 წლის 14 აგვისტოს შედგა ზიდანის დებიუტი ეროვნულ ნაკრებში, მაშინ ის მოედანზე შეცვლაზე შევიდა, საფრანგეთი ჩეხეთის ნაკრებს ეთამაშებოდა, ანგარიში 2-0 იყო ჩეხების სასარგებლოდ, ხოლო თამაშის დასრულებამდე 5 წუთი რჩებოდა, როდესაც ზიდანმა თავისი ცნობილი ცაციათი ჯერ ერთი, ხოლო ორ წუთში ჩეხებს თავით მეორე გოლიც გაუტანა და თავის გუნდს ფრე მოუტანა. ერთი წლის შემდეგ მას პლატინიმ უთხრა – „მეამაყება, რომ ათნომრიანი მაისური შენ გაცვია." შემდეგ ჟურნალისტებმა მას ჰკითხეს: „მიიჩნევთ თუ არა თავს პლატინის ღირსეულ შემცვლელად?" ზიზუმ უპასუხა – „პლატინი უძლიერესი ფეხბურთელი იყო, ის სამჯერ ზედიზედ დასახელდა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად, მას საფრანგეთში,იტალიასა და მთელს მსოფლიოში იცნობენ, მე კი უბრალოდ ვცდილობ, შევასრულო ჩემზე დაკისრებული მოვალეობა."

1998 წელს საკუტარ კედლებში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ზიდანმა და კომპანიამ ბრაზილიის ნაკრები დიდი ანგარიშით 3-0 დაამარცხეს და საფრანგეთის ნაკრები პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ზიდანისა და მისი თანაგუნდელებისთვის კრახით სრულდება. მაშინ ზიდანმა გადაწყვიტა ნაკრებიდან წასულიყო, მაგრამ საბოლოოდ გუნდში ისევ დაბრუნდა, რათა კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა მსოფლიოსთვის, რომ ის გენიალური ზიზუ იყო.

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ზიდანი 34 წლის იყო, ალბათ, ყველას ემახსოვრება თუ როგორ მოუგო ზიდანმა, მარტოდმარტომ იმ დროისათვის უპირობო ფავორიტს ბრაზილიის ნაკრებს. საფრანგეთმა მისი შესანიშნავი თამაშის წყალობითფინალს უწია, სადაც მას იტალიის ნაკრები შეხვდა. ფინალში ზიდანი შესანიშნავად თამაშობდა, გოლიც გაიტანა, თუმცა შემდეგ „სკუადრა აძურას" უხამს მცველს მარკო მატერაცის უზრდელობისტვის კაცური თავური აგემა, რისთვისაც ის მოედნიდან გააძევეს. ეს ბოლო თამაში იყო ზინედის ზიდანის კარიერაში. საფრანგეთის ნაკრებმა ის ფინალი თერთმეტრმეტრიანებით დათმო.

ზიდანი ფეხბურთიდან წავიდა.. წავიდა თავაწეული და წავიდა, როგორც ფეხბურთის გენია, ის სამჯერ მსოფლიოს საუკეთესო და ორჯერ ევროპის უძლიერეს ფეხბურთელად დასახელდა, ასეთივე შედეგი მხოლოდ ბრაზილიელ რონალდოს აქვს.

2011 წლის მაისში ზინედინ ზიდანი მადრიდის „რეალის" სპორტულ დირექტორად დაინიშნა

მას ყავს ცოლი და სამი შვილი. ზიზუს არაერთხელ დაუმტკიცებია საზოგადოებისათვის, რომ ოჯახი მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის შემდეგ, მაშინ როდესაც ყველანი მსოფლიო ჩემპიონატის აღსანიშნავად ემზადებოდნენ, ის თავის პატარა ბავშვს დასაძინებლად ამზადებდა. წვეულებაზე რა თქმა უნდა მივიდა, მაგრამ დიდი ხნით არ დაყოვნებულა და მალევე წავიდა, ხოლო რამოდენიმე დღეში ცოლთან ერთად იბიცაში დასასვენებლად გაემგზავრა

რის შესახებ მოგვითხრობს ერთი მეჩეთი

ყაზანისა და მთელი მუსლიმანური აღმოსავლეთის ყველაზე ლამაზ და გრაზიოზულ მეჩეთად, სამართლებრივი თვალსაზრისით შეიძლება დასახელებული იქნას აზიმოვის მეჩეთი, რომელიც 1887 წლიდან ძველი თათრეთის გარეუბანში დგას. ამ გარეუბნის ისტორია ყაზანის დაცემის შემდეგ იწყება. ტბა კაბანის ნაპირებზე ოთხასწლიანი არსებობის მანძილზე ცხოვრებიასთვის გასაოცარი წყობა ჩამოყალიბდა. აქ ცხოვრობდნენ: ვაჭრებიას და მოლლების, მეტყავეებისა და სპილენძის ოსტატების, ოქრომჭედლებისა და მეცნიერების, ხელოსნებისა და გლეხების თაობები. ეს ქალაქი ძირითადად ხის ნაგებობებისაგან შესდგებოდა, რომელმაც ხის ხუროთმოძღვრების უნიკალური ტრადიციები შემოუნახა, მაგრამ შემდგომ, თათრეთის მრეწველობა-ვაჭრობის დოვლათიანობის ზრდის ხარჯზე ქვის კერძო სახლების, მედრესებისა და მეჩეთების მშენებლობა დაიწყო. მეჩეთი ვაჭარ აზიმოვის ფინანსური მხარდაჭერით იქნა აგებული და ამ ადგილას 1804 წელს აშენებული ხის მეჩეთი შეცვალა. 51 მეტრ სიმაღლის წვრილი მინარეთი და თვით მეჩეთის სწორკუთხოვანი შენობა გასაოცარი გემოვნებით მორთულია მოჩუქურთმებული ქვებისა და მაიოლიკების (იტალ;-გამომწვარი თიხა, რომელიც დაფარულია გაუმწვირავი ჭიქურითა და ნახატით) საშუალებით. გასაოცარია მეჩეთისა და მისი ფორმის ჰარმონიულობა, რომელიც მას ჰაეროვნებას, გრაციოზულობასა და მოხდენილობას თანაზომიერებასთან ერთად ანიჭებს. თავის დროზე ეს მეჩეთი თათრებისათვის ერთ-ერთი ხალხმრავალი ადგილი იყო.

ყაზანის ცნობილი ისტორიკოსი, ყაზანის უნივერსტიტეტის პროფესორი კ. ფუქსი, რომელიც გულმოდგინებით აკვირდებოდა თათრეთის გარეუბნების ცხოვრებას, ასე წერდა: „ ქალაქში ყოველ შემომსვლელს, უეჭველია, გასაოცრად მოეჩვენება მონახოს თუნდაც ერთი გაუნათლებელი ყაზანი თათარი, საერთოდ კი ამბობენ ეს ხალხი უფრო განათლებულია, ვიდრე ზოგიერთი ევროპელი. თათარი, რომელსაც არ შეუძლია წერა-კითხვა თავისი თანამემამულეების მიერ უგულველყოფილია და როგორც მოქალაქე, სხვების პატივისცემით ვერ სარგებლობს.“ ფუქსების სახლი ზუბალაჩიოში იდგა და პროფესორი ამის მეშვეობით ყოველდღიურად თათრების ქალაქური ცხოვრების თვით სიღრმეში იმყოფებოდა. ამიტომ ბუნებრივია დასკვნა, რომელიც მან 1884 წელს თავისი დაკვირებებისა და გამოკვლევების საფუძველზე გააკეთა: „ყოველ ხალხს გააჩნია თავისი როგორც კარგი, ასევე უარყოფითი. ასეთივე მდგომარეობაში არიან თათრები; ორ საუკუნეზე უფრო მეტი ხნის დამორჩილებულმა და ეხლა რუსებს შორის გაფანტულ ხალხმა ასე გასაოცრად შეძლო თავისი ადათ-წესები, ზნეობა და სახალხო სიამაყე შეენახათ, თითქოსად ისინი მთელი ამ ხნის მანძილზე განცალკევებით ცხოვრობდნენ. თათრების გარეუბნების ყოველდღური ცხოვრების შესახებ თავიანთ დაკვირებებს უცხოეთიდან შემოსულებიც კი თოვებდნენ: „1803 წელს ინგლისელი მოგზაური ჯოზეფ ბელლინგსი აღნიშნავდა, რომ მაჰმადიანი თათარი თავისი გარეგნობითა და საცხოვრებელი ფართით საგანგებოდ სასიამოვნოა.“

თუ ყურადღებით მოუსმენ აზიმოვის მეჩეთის ქვათა ღაღადს, მაშინ ის თანამედროვე მუსლიმანს მისი დიდი წინაპრების წარსულის შესახებ გაახსენებს, რომელმაც მიუხედავად მთელი თავისი ტრაგიკული მდგომარეობისა, შეინახა საკუთარი რწმენა, კულტურის განსაკუთრებულებანი, ყველა ხალხისადმი კეთილი დამოკიდებულება, ისერომ სხვა ხალხებს არ შეეძლოთ მათი ცხოვრების წყობით არ აღფრთოვანებულიყვნენ.

წმინდა ჰუდი

ოსმან ნური თოფბაში

ოსმან ნური თოფბაშის წიგნიდან „შუამავალთა ჯაჭვი -1“

წმინდა ჰუდი, ნუჰის შვილის, სამის შვილიშვილია. მისი მეორე სახელი აბირი იყო. იგი ანყაფის მხარეში დაიბადა და გაიზარდა.

სიტყვა „ჰუდი“ არაბული სიტყვა, „ჰევადათ“ისგან არის წარმოებული, რაც ლმობიერებას, სიმშვიდეს, სიწყნარეს ნიშნავს.

წმინდა ჰუდი შუამავლად სოდომის ტომს მოევლინა. სოდომის ტომი, რომელის განადგურებაც კაცობრიობის მაგალითია, იგი დასახლებული იყო აჰქაფის მხარეში, დღევანდელ იემენის, ადენისა და ომანის ტერიტორიებს შორის.

სოდომის ტომი

სოდომის ტომი ოცდასამი გვარისგან შედგებოდა. მათ წმინდა ნუჰის შვილის სახელი ეწოდა. ამ ტომმა წმინდა ნუჰის შემდეგ, დაახლოებით, 800 წელს იცხოვრა.

გადმოცემის მიხედვით, ამ ტომის ადამიანები მსხვილი, ტანმაღალი იყვნენ და დიდხანს ცოცხლობდნენ. იმ მხარის მიწა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, უხვმოსავლიანი იყო. იმის გამო, რომ აქაურ მიწებზე ბაღ-ვენახები იყო გაშენებული, „ზღაპრული ბაღის“ სახელითაც იყო ცნობილი. ცნობილი გამოთქმა „ზღაპრული ბაღები“ აქედან მომდინარეობს.

სოდომის ტომის ადამიანები ქვებს თლიდა და სახლებს აგებდა. სადემონსტარაციო ბინებს აშენებდა. მათ შორის ბაღები და აუზები იყო განთავსებული. ყოველი მხარე თვალისმომჭრელად ლამაზი იყო.

ეს ტომი, რომელსაც ალლაჰმა ბევრი წყალობა უბოძა, დროთა განმავლობაში გაამაყდა, გაყოყოჩდა. სიკეთეების სიმრავლემ მოატყუა და ამქვეყნიურობაში ჩაიძირნენ. მათ შორის ინტრიგები და უზნეობა გავრცელდა, რის გამოც ჭეშმარიტ რწმენას დასცილდნენ. მათ წინაპრებს თავსდამტყდარ წარღვნაზე აღარ დაფიქრდნენ და მისგან გაკვეთილი არ აიღეს. მათ შესახებ უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„როდესაც ჯერი სოდომის ტომზე მიდგა, დედამიწაზე, იქ, სადაც უფლება არ ჰქონდათ, გაამაყდნენ და თქვეს: ჩვენზე უფრო ძლიერი ვინ არის? მათ ვერ დაინახეს, რომ მათი გამჩენი ალლაჰი, მათზე უფრო ძლიერი იყო? ისინი ჩვენ აიათებს (ჩვენს საოცრებებს) უარყოფდნენ.“ *(სურა ფუსსილათი აიათი 15)*

ისინი ჭეშმარიტებას ისე დასცილდნენ, რომ სათაყვანებელი კერპები გააკეთეს, რომლებსაც სახელად: სამედი, სამუდი, სადა და ჰება დაარქვეს. ფუფუნებასა და კეთილდღეობაშიც საზღვრებს გადასცდ-

ნენ. უძლურების ჩაგვრა დაიწყეს. ტირანებად და ულმობლებად იქცნენ.

იმდენად მდაბიოდ და უსამართლოდ იქცნენ, რომ სუსტ ტომებს თავს ესხმოდნენ და ქონებას იტაცებდნენ. საკუთარი გართობის მიზნით საცოდავი ადამიანები შენობების ზედა სართულზე აჰყავდათ და იქიდან ძირს აგდებდნენ. შემდეგ მათ დანაწევრებულ გვამებს უცქერდნენ და ამით სიამოვნებას ღებულობდნენ. გულები ამ დონემდე გაუქვავდათ და მათმა ტირანიამ იმ ფაზას მიაღწია, რომლის წარმოდგენაც შეუძლებელია.

ჰუდს ამ ტომთან მხოლოდ ნათესაობა აკავშირებდა. ცხოვრების ნირის მიხედვით კი ამთთან საერთო არაფერი ჰქონდა. ის სუფთა და წესიერი ოჯახის შვილი იყო.

როცა სოდომის ტომის თავაშვებულობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, და როცა მოურიდებლობა დღითიდღე უფრო გაიზარდა, უზენაესმა გამჩენმა ამ ტომისგან ჰუდი შუამავლად აირჩია.

„სოდომის ტომს მისი (შთამომავალი) ძმა ჰუდი მოვუვლინეთ..“ *(სურა ჰუდი აიათი 50)*

ჰუდი ზეშთაგონების შემდეგ იქ წავიდა, სადაც მისი ტომი იკრიბებოდა. ჰალჯანი, რომელიც ტომის მბრძანებელი იყო, ოქროსგან დამზადებულ ტახტზე იჯდა. წმინდა ჰუდმა ხმამაღლა დაიწყო:

„ჩემო მოდგმავ! ალლაჰს მონა-მსახურობა გაუწიეთ! თქვენ არ გყავთ მის გარდა სხვა ღვთაება. ისევ არ ფრთხილობთ?“ *(სურა ჰუდი აიათი 52)*

ჰალჯანი გაბრაზდა და უთხრა;

„ჰუდ! საცოდავო! მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამდენად მრავალრიცხოვანი და ძლიერი ხალხი ვართ, შენ თვლი რომ ჩვენზე უპირატესი ხარ? შენ არ იცი, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი ხარ! თანაც არ იცი, რომ ყოველდღე ამქვეყანას ჩვენი ერთი ბავშვი ევლინება!“

ჰალჯანი და სოდომის ტომი შვილებმა და ქონებამ გააამაყა, ჰუდი არად ჩააგდეს და მისი არ დაიჯერეს.

საოცრებებით აღსავსე ღვთიური გაფრთხილებები

წმინდა ჰუდი მისი ქადაგების მიმართ გამოჩენილ უზნეობამ და სიჯიუტემ ძალიან დაამწუხრა. ამაზედ ხელები ცისკენ აღაპყრო და გამჩენს შეევედრა. ამის შემდეგ ღმერთმა სოდომის ტომის ქალებს ბავშვების გაჩენის შესაძლებლობა წაართვა. ეს გაფრთხილება იყო და მათი უნაყოფობა ათ წელიწადს გაგრძელდა.

„როდესაც ჯერი სოდომის ტომზე მიდგა, დედამიწაზე, იქ, სადაც უფლება არ ჰქონდათ, გაამაყდნენ და თქვეს: ჩვენზე უფრო ძლიერი ვინ არის? მათ ვერ დაინახეს, რომ მათი გამჩენი ალლაჰი, მათზე უფრო ძლიერი იყო? ისინი ჩვენ აიათებს (ჩვენს საოცრებებს) უარყოფდნენ.“

(სურა ფუსსილათი აიათი 15)

იძულებული გახდნენ ჰუდთან მისულიყვნენ, მაგრამ ჯერ კიდევ წინდაუხედავად იქცეოდნენ. ამ სასწაულის მიუხედავად, რომელთა მოწმეც თავად იყვნენ, უთხრეს:

„შენ ჩვენ სასწაული გვაჩვენე!“

შემდეგ შეურაცხყოფითა და აბუჩად აგდებით ტანჯვის მოვლენა სთხოვეს:

„შენ იმისთვის მოხვედი, რომ ჩვენი ღმერთებისგან პირი გვაბრუნებინო? მოდი სიმართლის მთქმელთაგანი იყავი, და რითაც გვემუქრები, ის (სატანჯველი) თავს დაგვატეხე! -უთხრეს.“

ამის შემდეგ წყაროები დაშრა, ბაღვენახებს ყვითელი ფერი დაედო და ის ლამაზი ზღაპრული ბაღები განადგურდა, ადამიანებს ერთი ლუკმაც კი ენატრებოდათ.

ჰუდმა ისინი კვლავ შეკრიბა დაარიგა. „ალლაჰისგან მიტევება ითხოვეთ!“ და შემდეგ ისინი, იმისათვის, რომ არ გაჯიუტებულიყვნენ, შემდეგნაირად გააფრთხილა:

თუკი პირს იბრუნებთ, ჩემი მომვლენი თქვენ გამცნობთ. ღმერთი (თუ ისურვებს), თქვენს შემდეგ სხვა ტომს მოიყვანს თქვენს ადგილას და თქვენ მათ ვერავითარ ზიანს მიაყენებთ, ვინაიდან ჩემი გამჩენი ყველაფერს მეთვალყურეობს!“ *(სურა ჰუდი, აიათი 57)*

მათთვის ეს მუქარა საკმარისი არ აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი გაჭირვება გადახდათ, კვლავაც არ მოინანიეს და მონოთეისტურ რწმენას არ აღიარეს. ვინაიდან, გადაჭარბებული სიმდიდრის გამო, ღმერთს ძალიან დაშორებოდნენ. ამ მდგომარეობაში შუამავლებს რომ დამორჩილებოდნენ, ვეღარ ჩაიდენდნენ იმ აკრძალულ საქმეებს, რაც მათ სიამოვნებას ანიჭებდა, დაჩაგრულებს უსამართლოდ ვეღარ მოექცეოდნენ, სუსტებს ვერ დაჩაგრავდნენ, რადგანაც მონოთეისტურ რწმენას საზღვრები ჰქონდა. ამ ადამიანებს, რომლებიც უკიდურეს თავისუფლებას გრძნობდნენ, მფარველობის ქვეშ შესვლა არ უნდოდათ. მათ ერჩივნათ ჭეშმარიტება არ დაენახათ და ვნებებუს ტყვეებად მშვიდად ეცხოვრათ.

გრიგალი რომელმაც სოდომის ტომი თავდაყირა დააყენა.

მას შემდეგ, დიდი დრო არ გასულა, რომ ცაზე ღრუბელი გამოჩნდა. სოდომის ტომმა, ღრუბლით დაფარული ცა რომ დაინახა, გაუხარდათ და თქვეს:

„გაწვიმდება!“

თუმცა ეს ტნჯვის მომასწავებელი ღრუბელი იყო.

წმინდა ჰუდმა უკანასკნელად შეახსენა:

„ირწმუნეთ!“

ამ მიმართვით ტომი კიდევ ერთხელ გააფრთხილა, რათა ისინი სატანჯველისგან ეხსნა.

მაგრამ ისინი ამ ღრმა დაუდევობისგან ვერაფრით გამოფხიზლდნენ. თქვეს:

„არა! ესენი წვიმის მომასწავებელი ღრუბელია.“

ამგვარად, ბოლო ღვთიური გაფრთხილების ჟამს, ყოვლად დაუდევარად მოიქცნენ.

საბოლოოდ ანგელოზებმა, რომელთაც ეს საქმე ევალებოდათ, ღრუბელი გამო-

რეკეს და მთელი ტომი ამ ღრუბლებში გახვიეს. ოთხშაბათ დილით ქარი გაძლიერდა იმდენად, რომ ქარიშხალი ხეებს ძირიანად გლეჯდა. თანდათან გრიგალი უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ადამიანებმა ჰაერში კალიებივით ხტომა დაიწყეს. ცად რომ არ აფრენილიყვნენ, ტანსაცმლის კალთები ერთმანეთს გადააბეს და წრე შეკრეს, მაგრამ ეს გამოსავალი არ იყო. ადამიანებმა, როცა დაინახეს, რომ ცაში ქარს აქლემებსაც კი იტაცებდა, სახლებისკენ გაიქცნენ, მაგრამ მათ იქაც იგივე ბედი ელოდათ. ისინი ქარს გარეთ ისე გამოჰქონდა, როგორც ჩალის ღეროები.

უზენაესმა ალლაჰმა ქარს უბრძანა და ქვიშის გროვას ადამიანებს ზევიდან აყრიდა. ეს ყოველივე შვიდ ღამესა და რვა დღეს გრძელდებოდა. ამ ღვთიურ სატანჯველს, მხოლოდ წმინდა ჰუდი და მონოთეისტური რწმენის მიმდევარნი გადაურჩნენ. გრიგალი დაუმორჩილებლებს დაატყდათ თავს.

ყურანის განმმარტებელი სწავლულები აიათში მოცემულ „ჩვენი წყალობით ვიხსენით“ სიტყვას ასე განმარტავენ:

ალლაჰმა ჰუდი და მისი მიმდევარი მორწმუნეები თავისი წყალობით დაიფარა და გადაარჩინა.

როდესაც სოდომის ტომი განადგურდა, ჰუდი თავის მიმდევარ მორწმუნეებთან ერთად მექაში მოვიდა და გარდაცვალებამდე იქ დარჩა.

წმინდა ჰუდის სასწაულები

1. უზენაესი ალლაჰისგან ბოძებული ნებართვით, საითკენაც სურდა, ქარს იქით აბრუნებდა.

როდესაც ტომმა სასწაული მოსთხოვა, მან ჰკითხა:

„როგორი სასწაული?“ მათაც უთხრეს, ქარი სხვა მიმართულებით შეებრუნებინა.

წმინდა ჰუდმაც მიატრილა ქარი იქით, საითკენაც მათ სურდათ.

საკვირველია, რომ სოდომის ტომმა ეს სასწაული ნახა, მაინც არ ირწმუნა და ქარით განადგურდა.

2. შალი, აბრეშუმის (დახვეული, ძაფის) მდგომარეობაში მოჰყავდა.

3. ძლიერი წვიმების დროს მიმ-მოსვლა ვერ სრულდებოდა. ამის გამო ჰუდი ალლაჰს შეევედრა და გზებზე თავშესაფრები გაჩნდა. ამგვარად, ადამიანები წვიმების შეწყვეტამდე ამ თავშესაფრებში დაცული იყვნენ. წვიმის დამთავრებისთანავე გზას აგრძელებდნენ.

ჰუდის ნოველისგან შემდგი რამ შეიძლება გაკვეთილად ავიღოთ:

წმინდა ჰუდი ალლაჰის გზაზე გულწრფელად დამდგარი პატივსაცემი ადამიანი იყო. სანამ რამეს იტყოდა, კარგად აწონ-დაწონიდა. ისე როგორც ბოროტებას ბოროტებით არ პასუხობდა, ბოროტების ჩამდენსაც რბილად ექცეოდა. როცა ტომი მას უტვინოს უწოდებდა, მათ გასაფრთხილებლად საკმარისად ჩათვალა ეთქვა, რომ ის მხოლოდ ალლაჰისგან მოვლენილი შუამავალი იყო. მათ შეახსენა ალლაჰის მიერ მათთვის ბოძებული სიკეთეები და ღმერთისთვის მადლობის გადასახდელად მისი ბრძანებების შესრულება ურჩია. ასევე გამოხატა, რომ ყველაფერ ამის სანაცვლოდ, მათგან სააზღაურს არ ითხოვდა.

თუკი პირს იბრუნებთ, ჩემი მომვლენი თქვენ გამცნობთ. ღმერთი (თუ ისურვებს), თქვენს შემდეგ სხვა ტომს მოიყვანს თქვენს ადგილას და თქვენ მათ ვერავითარ ზიანს მიაყენებთ, ვინაიდან ჩემი გამჩენი ყველაფერს მეთვალყურეობს!“

(სურა ჰუდი, აიათი 57)

ისლამის ისტორია

ისლამის პირველი წლები

თემურ გოცირიძე

(დასაწყისი იხილეთ: „ჟურნალი ახალი მთვარე“ 18)

ძვირფასომკითხველო, ჟურნალ „ახალი მთვარის“ წინა ნომრებში მოგითხრეთ, იმის შესახებ, თუ როგორ იკრიბებოდნენ ახლად გამუსლიმანებულნი ერქამის სახლში და რა მეთოდებით ხელმძღვანელობდნენ მაშინ, როცა მორწმუნე საზოგადოება უმცირესობაში იმყოფებოდა. ასევე მოგითხრეთ ქადაგების აშკარად დაწყების შესახებ და გავაანალიზეთ ის მეთოდები, რომელსაც წმინდა შუამავალი ამ დროს იყენებდა. ამასთანავე ვისაუბრეთ იმ ძალიხმევისა და ბინძური მეთოდების შესახებ, რომელსაც წარმართები წმინდა შუამალის შესაჩერებლად იყენებდნენ. ახლა კი მოგიყვებით უწრმუნოთა მიერ მუსლიმებზე განხროციელებულ ზეწოლასა და ტანჯვა-წამებაზე, და იმ შეთითხნილ ბრალდებების შესახებ, რომელიც წარმართებმა ყურანის შესახებ შეთხზეს. ასევე მოგიყვებით, შუამავლის მისიის მეხუთე წელს განხორციელებულ მოვლენაბსა და ეთიოპიაში ჰიჯრეთის შესახებ.

ბრალდებები მუჰამმედ შუამავლისა და ყურანის მიმართ

ურწმუნოებმა, რომლებმაც ყველა ღონეს მიმართეს, მუჰამმედ შუამავლის ბ გადასაბირებლად, საწადელ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს და უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. წარმრათებმა იცოდნენ ის,

რომ წმინდა შუამავალმა ბ წერა-კითხვის არ იცოდა მაგრამ მიუხედავად ამისა ამჯერად იმდენად გაბრიყვდნენ, რომ ამტკიცებდნენ, ყურანი მან ერთი ქრისტიანი ტყვესაგან ისწავლაო. იმას კი აღარ ფიქრობდნენ, ასეთი დიდებული სარწმუნოების საფუძვლისჩამყრელი ტყვე ამ პატივს განა სხვას დაუთმობდა? თან ქრისტიანად დარჩებოდა?

ვინაიდან კერპთაყვანისმცემლებს ჭეშმარიტ გზაზე დადგომის სურვილი არ ჰქონდათ, მუჰამმედ შუამავლისა ბ და ყურანის მიმართ სხვადასხვა სახის ბინძურ ცილისწამებას თხზავდნენ. მაგრამ მათ ჭეშმარიტების შესახებაც იცოდნენ.

წამების პერიოდი

როგორც წინა ნომერში ვწერდით ურწმუნოები აბუ თალიბს ეახლენ, მდგომარეობა აუხსნეს და თხოვეს, რომ წინ აღდგომოდა მის ძმისშვილს. აბუ თალიბმა ისინი ზრდილობიანად მოიშორა თავიდან, მაგრამ მუჰამმედ შუამავლისთვის არაფერი უთქვამს.

ურწმუნოებმა, რომლებმაც აბუ თალიბისაგან რაიმეს ვერ გამორჩნენ და ალლაჰის შუამავალიც რაიმე დათმობაზე ვერ წაიყვანეს, გამოსავალი დაშინების მეთოდებში იპოვეს. თავდაპირველად ისეთ ოჯახებსა და ტომებს, რომლებიც მრავალრიცხოვანნი იყვნენ ვერ შეენენ. ვინაიდან, მუსლიმანების წინააღმდეგ წამოწყებულ ამ შეუბრალებელ მოქმედებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საყოველთაო ხასიათი მიღებული.

ამ დროს ურწმუნოთა მიერ წამების მსხვერპლს, უმეტესწილად, უთვისტომო ღარიბები, ტყვეები და მხევლები წარმოადგენდნენ. თითქმის აღარ არსებობდა ისეთი ტანჯვის ფორმა რომელიც მათზე არ ყოფილა მიყენებული.

ძვირფასი ჰაბბაბი, გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე დააწვინეს, სხეულიდან ჩამომდინარე ქონებისაგან ანთებული ცეცხლის ჩაქრობამდე გულზე დააწვნენ და ასე გააჩერეს.



ჰაბბაბი მჭედელი იყო; ზოგიერთი კერპთაყვანისმცემლებისაგან ვალი ჰქონდა ასაღები. როცა ვალს თხოვდა, მას ასე ეუბნებოდნენ:

„ჯერ მუჰამმედი უარჰყავ და ვალს შემდეგ მიიღებ შენ!“

ფრიადპატივცემული ბილალი მათ შორის ერთ-ერთია, ვინც სასტიკად აწამეს. მისი ბატონი უმეიე ბინ ჰალეფი ბილალს გაუგონარი სისასტიკით აწამებდა. მას გახურებულ ქვიშაზე აწვენდა, ზემოდან უზარმაზარ ქვებს აწყობდა, ზოგჯერ კი მექას ქუჩებში ათრევდა. ძვირფას ბილალს ერთი დღე-ღამის განმავლობაში წყალს არ აძლევდა, შემდეგ რკინის პერანგს აცვამდა, საშინელი სიცხის ქვეშ გავარვარებულ ქვიშაზე აწვენდა და მანამადე აჩერებდა, სანამ სხეულის ქონები არ დადნებოდა.

ურწმუნოებმა ბილალს, მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირად აწამებდნენ, მათთვის სასურველი ვერაფერი ათქმევინეს, ის განუწყვეტლივ იმეორებდა:



„ალლაჰი ერთია, ალლაჰი ერთია, ალლაჰი ერთია!“

ძვირფასი იასირიის. რაც მუსლიმანებს თავს დაატყდა, მხოლოდ წამებით არ შემოიფარგლებოდა. ამმარის მამამ იასირმა ურწმუნოთა მიერ მისთვის ნაკარნახევი არ გაიმეორა და მათი მძიმე ტანჯვის ქვეშ ამოხდა სული.

მის დედას **სუმეიეს** ველურად წამების შემდეგ, ერთი ფეხი ერთ აქლემზე, მეორე ფეხი მეორე აქლემზე მიუბეს და უმოწყალოდ დაფლითეს, რის შემდეგაც საშინელი სიკვდილით აღესრულა.

ამრიგად, იასირის ოჯახის წევრები ისლამის პირველი შეჰიდები გახდნენ.

შუამავლობის მისიის მეხუთე წელი

პირველი ჰიჯრეთი ეთიოპიაში

წმინდა შუამავალმა ბ ყურეიშების მხრიდან აუტანელი შევიწროების საპასუხოდ მუსლიმების ჰიჯრეთის ბრძანება გასცა. რადგანაც ისინი რწმენის მოვალეობას მექაში თავისუფლად ვერ ასრულებდნენ. ამასთანავე რწმენის გავრცელებაც მათი მოვალეობა იყო.

როცა მისმა თანამიმდევრებმა ჰკითხეს თუ სად უნდა გადასულიყვნენ, წმინდა შუამავალმა ბ უპასუხა:

„ეთიოპიაში! რადგანაც იქ არის მმართველი, რომელიც ხალხს უსამართლოდ არ ექცევა, თანაც იქაურობა სიმართლის მხარეა. სანამ უდიდესი ალლაჰი სხნის გზას არ გიჩვენებთ, იქ დარჩით.“

ეს პირველი ჰიჯრეთი 12 მამაკაცისა და 5 ქალის, სულ 17 ადამიანისაგან შემდგარმა ჯგუფმა შეასრულა. მათში შედიოდა ოსმან იბნ აფფანი, მისი ცოლი წმინდა რუქიე, ზუბეირ იბნ ავვამი, მუსაბ იბნ მაჩენი, აბდურაჰმან იბნ ავფი, აბუ სელამი, უმმი სელემე, ოსმან იბნ მაჩენი, იბნ მესუდი და სხვა იმდროინდელი გამოჩენილი პიროვნებები.

მექადან მალულად წასულმა მუჰაჯირებმა შუაიბეს ნავსადგურში რომ მიაღწიეს, ალლაჰის ნებით, იქ ორი სავაჭრო გემი მოვიდა. მუჰაჯირები მათ ნახევარ ოქროზე მოელაპარაკნენ და ეთიოპიაში გადავიდნენ. ყურეიშები მუჰაჯირებს შესაპყრობად უკან გაჰყვნენ, მაგრამ როცა სანაპიროსთან მივიდნენ, გემები ზღვაში დიდი ხნის გასული იყვნენ.

ალლაჰის შუამავალმა ბ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეთიოპიაში ჰიჯრეთი წასულ წმინდა ოსმანსა და ქალიშვილ რუყიეზე ამბავი ვერ გაიგო. წმინდა შუამავალი ბ დრო და დრო გარეთ გამოვიდოდა, იმ მხარიდან მოსულებს, ახლობლებს ეკითხებოდა. ერთი ყურაიში ქალი ეთიოპიის მხარიდან მოვიდა, წმინდა შუამავალმა ბ მას ქალიშვილისა და სიძის ამბავი ჰკითხა.

„მე ისინი ვნახე, წმინდა შუამავალო“.

ალლაჰის შუამავალმა ჰკითხა:

„როგორ არიან, კარგად არიან?“

ქალმა უპასუხა:

„ოსმანს რუყიე აქლემზე დაესვა, თვითონ კი უკან მიჰყვებოდა“.

„ალლაჰმა დაუფასოს და დაეხმაროს მათ. უეჭველია, რომ ოსმან იბნ აფფანი, ლუთის შემდეგ, ოჯახთან ერთად, ალლაჰის გამო, ჰიჯრად წასული პირველი ადამიანია.“

პირველი მუჰაჯირები ეთიოპიაში 3 თვის განმავლობაში დარჩნენ. მექელმა წარმართებმა მორწმუნეთა შესახებ ათასგვარი მითქმა-მოთქმა გაავრცელეს. ამის გამო ჰიჯრით გადასული მორწმუნეები უკან დაბრუნდნენ. 33 კაცისა და 6 ქალისაგან შემდგარი 39 კაციანი ჯგუფი შუამავლობის მე-5-ე წელს შევვალის მთვარეში ეთიოპიიდან გზას გაუდგნენ. მექას რომ მიუახლოვდნენ, გაარკვიეს, რომ წარმართების გამუსლიმანების ეს ამბავი სიმართლეს არ შეეფერებოდა. უკან დაბრუნება გაუჭირდათ. მეორე მხრივ, დაუცველად მექაში შესვლა შეეშინდათ. მხოლოდ წარმართი ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით მალულად შეძლეს მექაში დაბრუნება.



მეორე ჰიჯრეთი ეთიოპიაში

მექქელმა წარმართებმა როცა გაიგეს, რომ მუჰაჯირებს ეთიოპიაში კარგად ექცეოდნენ, ძალიან დიდი საფრთხე იგრძნეს და მათი ტანჯვა კიდევ უფრო გააძლიერეს.

ოსმან იბნ მაზუნი, რომელიც ველიდ იბნ მუღირეს მფარველობით მშვიდ ცხოვრებას ეწეოდა, ხედავდა, რომ მისი მეგობრები პოლითეისტებს საშინელი ტანჯვა-წამების ზემოქმედების ქვეშ ჰყავდათ. ზოგიერთს ცეცხლით შანთავდნენ, მათრახით სცემდნენ. ის, ყველაფერ ამის შემხედვარე, შეფიქრიანდა.

„ღმერთმანი, მაშინ როცა ჩემი ამხანაგები და ჩემი ხალხი ალლაჰის გზაზე დადგომის გამო სხვადასხვა ტანჯვის ქვეშ არიან, ერთი პოლითეისტის მფარველობის ქვეშ, ჩემი უსაფრთხოდ ცხოვრება ძალიან დიდი ნაკლია! ალლაჰის მფარველობა უფრო საპატივცემულო და უსაფრთხოა“, — იფიქრა და თავის მფარველ ველიდთან მივიდა:

„ბიძაშვილო, შენ მე მფარველობის ქვეშ ამიყვანე, კარგად დამიცავი და შენი მოვალეობა შეასრულე! ახლა შენი მფარველობიდან გამოსვლა და ალლაჰის შუამავალთან წასვლა მინდა. ის და მისი მეგობრები ჩემთვის ყველაზე სამაგალითო პიროვნებები არიან. მე ყურაიშებთან წამიყვანე და მათ შეატყობინე, რომ ამიერიდან ჩემს მფარველობას წყვეტ.“

წარმართების მხრიდან წვალება რომ უფრო გაძლიერდა და გაუსაძლისი გახდა, მუსლიმანები იძულებული გახდნენ იმავე წელს ეთიოპიაში მეორედ წასულიყვნენ. ამჯერად 90 იყვნენ, მათ შორის 77 მამაკაცი, 13 ქალი. სათავეში წმინდა ალის უფროსი ძმა ჯაფერ თაიარი ედგათ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ღუსლი

(მთელი სხეულის რიტუალური განბანვა)

ღუსლი სხეულის ისე გულდასმით დაბანას ნიშნავს, რომ ნემსის წვერის ოდენა მშრალი ადგილიც კი არ უნდა დარჩეს. ინტიმური ურთიერთობის, მენსტრუაციისა და მშობიარობის შემდეგ ღუსლის შესრულება აუცილებელია.

ღუსლის ფარძები

ღუსლთან დაკავშირებით წმინდა ყურანში, სურა მაიდეს მე-6-ე აიათში ნაბრძანებია:

„თუკი ჯუნუბი (დასაბანი)გახდებით, კარგად გასუფთავდით.“

ღუსლის სურფასოვნების აუცილებლობა სამია:

1. პირში ბლომად წყლის გამოვლება;
2. ცხვირში ბლომად წყლის გამოვლება;
3. მთელი სხეულის გულდასმით დაბანა ისე, რომ მშრალი ადგილი არ უნდა დარჩეს.

ღუსლის სუნნეთები

1. განბანვის ბესმელეთი დაწყება;
2. მიზნის დასახვა (ნიეთი);
3. თუ სხეულის ნებისმიერ ადგილზე ჭუჭყია, მისი მოცილება;
4. შემდეგ ნამაზის აბდესის მსგავსად განბანვა;
5. აბდესის შემდეგ სამჯერ თავზე, სამჯერ მარჯვენა, სამჯერაც მარცხენა მხარზე წყლის გადავლება;
6. წყლის ზომიერად გამოყენება;
7. დაბანის დროს დაულაპარაკებლობა;
8. განბანვის დამთავრებისთანავე სხეულის პირსახოცით კარგად გამშრალება.

როგორ სრულდება ღუსლი?

ადამიანი, რომელსაც ჯუნუბობისგან გასუფთავება სურს, თავდაპირველად „ბესმელეს“ კითხულობს და შემდეგ მიზანს ისახავს: „მიზნად დავისახე ალლაჰის კმაყოფილებისთვის ღუსლის შესრულება.“ ხელების მაჯების ჩათვლით დაბანის შემდეგ ფარულ

ადგილებს დაიბანს. ამის შემდეგ მარჯვენა პეშვით პირში სამჯერ წყალს შეისხამს და ყოველ ჯერზე ღრმად გამოივლებს. თუ მარხულია, ყურადღებას მიაქცევს, რომ წყალი ყელში არ გადაცდეს. შემდეგ მარჯვენა პეშვით ცხვირში წყალს შეისხამს ცხვირის ღრუმდე სამჯერ, ყოველ ჯერზე მარცხენა ხელით ცხვირს მოიწმენდს. ამის შემდეგ ზუსტად ნამაზის აბდესის მსგავსად აბდესს აიღებს.

აბდესის აღების შემდეგ ჯერ თავს, შემდეგ მარჯვენა, შემდეგ კი მარცხენა მხარზე სამჯერ წყალს დაისხამს და სხეულს დაიბანს. წყლის ყოველ დასხმაზე სხეულს ხელებით კარგად დაიზელს. სხეულის ყველა ადგილს ისე დაიბანს, რომ ნემსის წვერისოდენა მშრალი ადგილიც კი არ დარჩეს. დაბანისას ულვაშის, თმისა და წვერის ძირებს კარგად დაიზელს. ყურადღებას მიაქცევს ჭიპის სიცარიელისა და საყურის ნახვრეტების დაბანას. ამგვარად ჯუნუბობისგან გასუფთავებულად ჩაითვლება.

ღუსლის სარგებელი

ისე როგორც აბდესი, ღუსლიც ადამიანს სულიერად და მატერიალურად ასუფთავებს.

სხეულის გაჭუჭყიანების დროს ბეწვის ქვეშ არსებული ნასვრეტები ყრუვდება. ამგვარად სხეულის უჯრედები ვეღარ სუნთქავს. ღუსლის საშუალებით ეს ნასვრეტები იხსნება, კანს ნორმალური სუნთქვის შესაძლებლობა ეძლევა და სხეული ხალვათდება.

ღუსლის სხვა სარგებელზე ექიმები ამბობენ:

იმ მდგომარეობების შემდეგ, რომელიც ღუსლს მოითხოვს, ადამიანის სისხლძარღვები დიდ დარტყმებს განიცდის, სხეული იღლება და დუნდება. აი, ამ დაღლილობისა და მოდუნების მოსახსნელად და სხეულისთვის ახალი წონასწორობის მისანიჭებლად მთელი სხეულის დაბანაა საჭირო.

რაც ნიშნავს, რომ ის მდგომარეობები, რომელიც ღუსლს მითხოვს არა მარტო ზოგიერთ ორგანოს არამედ, მთელი სხეულის დაბანის საჭიროებას წარმოქმნის. რადგან თუნდ ინტიმური ურთიერთობის, თუნდაც მენსტრუაციის და მშობიარობის დროს გული, ყველა სხვა ორგანო და სისხლის მიმოქცევის სისტემა მთელ დაღლილობას ბანაობას გაატანს დღეს ნერვული დაღლილობის ერთადერთი ბუნებრივი წამალი, მთელი სხეულის ყურადღებით დაბანაა და მკურნალობის ჯანსაღი ფორმაა. ისე, როგორც ალლაჰის ყველა ბრძანება, ღუსლიც ჩვენთვის ცნობილ თუ უცნობ ბევრ სიბრძნესა და სარგებელს შეიცავს.

(ჰამდი დონდურენ, ისლამის ილმიჰალი, გვ. 172)

რას გვეტყვით ღორის ხორცის შესახებ. როგორია ამ საკითხისადმი სხვადასხვა კონფესიების და კონკრეტულად ისლამის ხედვა?

პასუხი I: ღორის ხორცის შესახებ სხვადასხვა კონფესიებს თუ გადავხედავთ იუდაიზმის და ისლამის გარდა თითქმის არცერთ რელიგიაში არ გვხვდება მსგავსი აკრძალვა, თუ არ ჩავთვლით იმ რელიგიებს, რომლებისთვისაც ვეგეტარიანობაა დამახასიათებელი. რათქმაუნდა ამას ვერ ჩავთვლით ღორის ხორცის აკრძალვად. რაც შეეხება იუდაიზმს იგი ისლამთან ერთად ერთერთი მსოფლიო რელიგიაა, რომელის მიმდევრები დიდი სიფრთხილითა და მოწიწებით ასრულებენ ღვთის ბრძანებას და ღორის ხორცს ახლოსაც არ ეკარება. ღორის ხორცის აკრძალვა თორაში შემდეგნაირადაა ნაბრზანები: ***"რორი რომელსაც ჩლიქი გაპობილი აქვს, მაგრამ არ იცოხნის, უწმინდურია თქვენთვის."*** (ლევიანნი, 11/7) ***"ღორი ჩლიქგაპობილია, მაგრამ არ იცოხნება, უსურმაგია იგი თქვენთვის. ნუ შეჭამთ მათ ხორცს და მათ ლეშსაც ნუ მიეკარებით."*** (მეორე რჯული, 14/8) ***"ჭამს ღორის ხორცს და მურდარი შეჭამანდი უდგათ ჭურჭლებში."*** (ესაია, 65/4) ***"ისინი, ვინც იწმინდებიან და სუფთავდებიან საკერპო ჭალებში შესასვლელად, სადაც ერთმანეთის გვერდით მდგარნი ჭამენ ღორის ხორცს, უსურმაგას და თაგვებს, ერთიანად დაიღუპებიან, ამბობს უფალი."*** (ესაია, 66/17)

როგორც ერთ-ერთ ზეციურ რელიგია იუდაიზმის წმინდა წიგნში ასევე ისლამის წმინდა წიგნშიც გამოხატა უფალმა თავისი ნება და თავის მსახურთ ღორის ხორცი და საერთოდ ღორის პროდუქტები აუკრძალა. ამ თემასთან დაკავშირებით უზენაესი ალლაჰი, წმინდა ყურანის აიათების საშუალებით ასე მოგვმართავს: ***"ჰოი თქვენ, რომელთაც იწამეთ! ჭამეთ, რაც რამ კარგია საზრდოდ მოგანიჭეთ, და მადლი შესწირეთ ალლაჰს, თუ კი მასა სცემთ თაყვანს. მან მხოლოდ ლეში, სისხლი და ღორის ხორცი აგიკრძალა თქვენ და ის, რაზეც ალლაჰის სახელი არ თქმულა*** (დაკლისას). (სურა ბაყარა, 172-173-ე აიათი)

"აკრძალულია თქვენთვის ლეში, სისხლი და ღორის ხორც და ის, რაზედაც ალლაჰის სახელი არ თქმულა (დაკლისას), ***და დახრჩობილი, და დარტყმით მოკლული, და დაცემისაგან მკვდარი, და რქის რჩოლისაგან, და რასაც ნადირი ჭამდა, - იმის გარდა, თუკი თქვენ დაკლავთ წესისამებრ, - და კერპთა სამსხვერპლოზე დაკლული; და ისიც, - რომ ისრებით გაინაწილოთ; უწმინდურებაა ეს ყველაფერი.*** (სურა მაიდე, 3-ე აიათი)

"(მუჰამმედ) ***თქვი რომ, რაც მე ზემომევლინა მათ შორის ვერ ვხედავ, ისეთ საკვებს რომელიც ჰარამია. არდა ლეშის, დაღვრილი სისხლის, უწმინდური ღორის ხორცის და ალლაჰის გარდა სხვაზე მსხვერპლად შეწირულისა.*** (სურა ენამ, 145-ე აიათი)

"ალლაჰმა მხოლოდ, ლეში, სისხლი, ღორის ხორცი და ლლაჰის გარდა სხვისი სახლით დაკლული აგიკრძალათ. (სურა ნაჰლ, 115-ე აიათი).

ღორი რომ ბინძური ცხოველია და ყოველგვარი კომუნალური ნარჩენები, რომ მისთვის საკვები და საზრდო წყაროს წარმოადგენს, ეს ფაქტი არავისთვის უცხო არ არის. აქედან გამომდინარე არც ყურანის ძირითადი პრინციპი არ უნდა დაგვავიწყდეს *"სიკეთის ბრძანება და ბოროტების აკრძალვა.* ღორის ხორცი, რომ მაღალი დოზით ტოქსიკურ ნივთიერებებს შეიცავს და ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათოა, ეს ფაქტი ღმერთმა ჩვენზე უკეთ იცის. ღადგანაც მან გააჩინა ადამიანიც და ღორიც. მიტომაც ალლაჰი წმინდა ყურანში სუფთა და ჩვენთვის სასარგებლო პროდუქტების მიღებას გვირჩევს; ხოლო უწმინდურსა და ჩვენი ჯანმრთელობისტვის საზიანოს გვიკრძალავს. ***"შუამავალი მათ სიკეთეს უბრძანებს; ბოროტებას უკრძალავს, სუფთა რამეებს ჰალალად;***

უწმინდურებს არამად უწესებს, (სურა არაფ, 157-ე აიათი)

"ჰოი შუამავალო! ჭამეთ ის, რაც სუფთაა და სიკეთე ჰქმენით. ჭეშმარიტად მე ვიცი რასაცა იქმთ." (სურა მუმინუნ, 51-აიათი)

"ჭამეთ რაც სუფთაა და სარჩოდ გიწყალობეთ." (სურა ტაჰა, 81-აიათი)

მგვარად ზემოთ მოყვანილი აიათების მეშვეობით ცხადი ხდება, თუ როგორია ყურანის დამოკიდებულება ღორის ხორცთან დაკავშირებით. ახლა მოდით განვიხილოთ ალლაჰის შუამავალის მუჰამმედ (ს.ა.ს)-ის მჰადისები რომლებიც ყურანის შემდეგ ყველაზე ძლიერი წყაროა ისლამში, რაც საბოლოოდ გვიჩვენებს ისლამის დამოკიდებულებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჯაბირ ბინ აბდულლაჰის გადმოცემით ალლაჰის შუამავალმა ასე ბრძანა: *"ჭეშმარიტად ალლაჰი და მისი შუამავალი ღვინით, მკვდარი ცხოველის ხორცით, ღორის ხორცით და კერპებით ვაჭრობას გიკრძალავთ."* (ბუჰარი)

ჰუზეიფე ბინ იემანისგან: *"ღვინით მოვაჭრე, ღვინის მსმელივითაა. ღორის შემნახველი, მისი ხორცის მჭამელივითაა. თქვენს მონებთან შეთანხმება გააკეთეთ და ყურადღება მიაქციეთ გადასახადი საიდან მოაქვთ, რადგან ჰარამით ნასაზრდოები სხეული სამოთხეში ვერ შევა."*

როგორც ვხედავთ შუამავალის ჰადისებიც ჩვენთვის კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ ფაქტს რომ ღორის ხორცის ჭამა და საერთოდ ღორის შენახვა და მისით ვაჭრობაც კი აკრძალულია. ალლაჰის შუამავალი ერთ სხვა ჰადისში გვეუბნება, რომ ჰარამი საკვები ასევე აბრკოლებს ლოცვა ვედრების ახდენას. *"ალლაჰის შუამავალმა თავის მეგობრებს მოუთხრო ერთი კაცის შესახებ რომელსაც ხელები ცისკენ აღეპყრო და ღმერთს ევედრებოდა. შუამავალმა ასე თქვა: „ეს კაცი ჰარამს ჭამს, ჰარამს სვამს და ჰარამით იმოსება. ჰარამით გამოკვებილი ვინმეს ვედრება როგორ ასრულდება?"* (ბუჰარი, თირმიზი, აჰმედ ბინ ჰანბელ)

ცოტაც ღორის ბუნებაზე და მისი ხორცისთვის დამახასიათებელ თვისებებზეც ვისაუბროთ. ღორი რომ ბინძური ცხოველია და მისთვის ყოველგვარი ბინძური გარემო და საკვები, რომ საწუნარი არ არის ყველასათვის ცნობილია. ბუნებაში ყველა ცხოველისთვის დამახასიათებელია სისუფთავე, რაც კანის, ბეწვისა და ქურქის დასუფთავებით გამოიხატება. სამყაროში ძალიან იშვიათია ისეთი ცხოველები რომელიც ერთგვარ ჰიგიენას არ იცავდეს და პერიოდულად არ ზრუნავდეს საკუთარი სხეულის სისუფთავეზე, მაგრამ ღორი ამ უმრავლესობის ის გამონაკლისია, რომლისთვისაც სისუფთეც და სიბინძურეც სულერთია. ჩხოველების უმრავლესობა ყნოსვით არჩევს საკვების ვარგისიანობას ან უვარგისობას და ყოველი ცხოველისთვის არსებობს საკვებთა კატეგორიები რომლებსაც მიირთმევენ ან არ მიირთმევენ. მაგრამ ღორებისთვის მსგავსი კლასიფიკაცია არ არსებობს ისინი ერთგვარი კომუნალური ნარჩენების გადამამუშავებელ-გამსაღებელი მანქანებივით არიან. შესაბამისად ზემოთ ჩამოთვლილი ყოველი მაგალითისა მათი ხორცი გამოირჩევა მაღალი დოზის მომწამლავი ტოქსინების შემცველობით, რაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისთვის. როგორც სარწმუნოებაში ისე მედიცინის მხრივ საკვებ პროდუქტს რომელსაც ხორცი წარმოადგენს თუკი ერთის მხრივ დადებითი თვისებების ატრიბუტია უარყოფითი თვისებსბის გამომჟღავნებაში არაფერი უშლის ხელს განსაკუთრებით, თუ მისი გამოყენება თავისივე ცხიმთან ერთად ხდება. ყველაზე დიდ პრობლემას, ჯანმრთელობისტვის მავნე პროდუქტად ისევ და ისევ ღორის ხორცი წარმოადგენს. ღორის ხორცის ცხიმის მდგრადობა ორჯერ უფრო მეტი მოცულობის არის ვიდრე დანარჩენი ცხოველური ხორცი და ამასთანავე ორჯერ მეტი მავნე ნივთიერების მატარებელია, რომელსაც მავნე ნივთიერების გავრცელების სწრაფი უნარი აქვს. ღორის ხორცის საკვებად მიღების შემთხვევაში ორგანიზმში მავნე ფუნქციის გააქტიურებას აწარმოებს, დიდად აზიანებს კუჭნაწლავისა და მონელების ფუნქციას, რომელიც ორგანიზმის მთავარი გადამამუშავებელი ფაბრიკაა. ღვიძლის დაზიანების და სწორი უკმარისობის შემთხვევაში არასასურველი დაავადებები იჩენს თავს.

ანეგდოტები

მასწავლებელი მიმართავს კლასს:

- აბა, ის ვისაც თავი სულელი ჰგონია, ფეხზე წამოდგეს.

კარგა ხნის შემდეგ ერთი გოგონა წამოდგება.

- სოფი, თავი მართლა სულელი გგონია? – ეკითხება მასწავლებელი.

- არა, მაგრამ ძალიან შემებრალეთ, ფეხზე მარტო რომ იდექით, – პასუხობს სოფი.

***

სვანი ჩადის მარშუტკიდან და არ აქვს ფული.მძღოლს ეუბნება:

-პანჩური დამარტყი,-დაარტყავს.

-კიდე დამარტყი-დაარტყავს

სვანი თავის მეგობარს გასძახებს :

ზაურ, შენი გადახდილია!

***

სანიტარო, საით მივდივართ? -მორგში. - მე ხომ ჯერ ცოცხალი ვარ? -ჯერ არც მივსულვართ.

***

რაჭველს პურზე გაგზავნიან და თან ეტყვიან: -თუ ერთ მაღაზიაში არ იყოს, მეორედან წამოიღე. ცოტა ხნის შემდეგ რაჭველი ხელცარიელი ბრუნდება. -პური რატომ არ მოიტანე? – ჰკითხავენ. -ორივე მაღაზიაში იყო და რომლიდან წამოვიღო?

***

სომხები ქეიფობენ და ყველა გამვლელს ეუბნებიან: – თქვი ღმერთმა მარტო სომხისთვის გვამუშაოსო. ქართველები არ იძახიან და სომხები მაგრად ცემენ. გამოივლის იმერელი და იმასაც იგივეს მოთხოვენ. იმერელი ეტყვის: – ღმერთმა ოღონდ სომხისთვის მამუშაოს და თუ უნდა შაბათ -კვირასაც არ დამასვენოსო. სომხებს გაუხარდებთ, დასვამენ იმერელს და მაგრად აქეიფებენ. მერე ერთს ეჭვი შეეპარება და იმერელს შეეკითხება: – რად მუშაობ? – მეკუბოვე ვარ! – მიუგო იმერელმა

***

ქუთაისის საგიჟეთიდან გაიქცევიან გიჟები. – არიქა სასწრაფოდ ხიდი გადაკეტეთ, გურიაში თუ შეგვასწრეს მერე ველარ გავარჩევთო

***

სიცხეა, ჯალათს დამნაშავე სასჯელის აღსასრულებლად მიჰყავს.

– გამიშვი რა, – ეხვეწება პატიმარი.

– არა.

– დავიღალე სიარულით.

– შენ რა გიჭირს, მე უკან უნდა დავბრუნდე.

***

მიხოს ცოლი გარდაეცვალა. გავიდა ხანი და შვილები დაისვა სალაპარაკოდ. –შვილებო, ცოლი უნდა შავირთო, ნებაი მრთავთ? –არა, მამი,–ერთხმად უპასუხეს შვილებმა,–დედიჩვენის შემდეგ სხვა ქალი დედაი ვერ დავუძახებთ. –კარგი, მაშინა– ჩაფიქრდა მიხო,–რუს დედინაცვალ მოგიყვანთ და ორივეს მამა დაგვიძახეთ

***

შვილო, გიორგი, ნუ ურტყავ მაგ ბავშვს ჩაქუჩს თორე გაოფლიანდები და გაცივდები.

***

ორი სვანი ცხენებს იყიდიან და ფიქრობენ, როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგანო. ერთი ეტყვის მეორეს: -მოდი კუდები დავაჭრათო. დააჭრიან ორივე ცხენს კუდს და მაინც ვერ არჩევენ. მარჯვენა ყურებსაც მოაჭრიან, მერე მარცხენას, ცხენები ისევ ერთნაირია. ბოლოს ერთი იტყვის: -მოდი, მაშინ თეთრი შენი იყოს და შავი – ჩემიო

ქართული ხალხური ანდაზები

- ჰარამ მწყერს, ხოხობ, კაკაბსა - ჰალალი ქორი სჯობია.
- აგურის ნატეხი ლალს შეუდარეს, აქაოდა წითელიაო.
- ჭკვიანი თავის თავს დაემდურება და უტვინო – სხვასაო.
- ავადმყოფს ექიმი არჩენს, უბედურს კარგი მეგობარიო.
- ყველანი ბედნიერებას ვნატრობთ და იმას კი არ ვაკეთებთ, რაც ადამიანს აბედნიერებს.
- ალვის ხე მაღალია, მაგრამ პატარა ცული წააქცევს.
- არ უშლის ხმალსა სიმოკლე, ვაჟკაცსა ტანდაბლობაო.
- დათვი შინდის ძირში წამოწვა: მალე რომ აყვავდება, ალბათ მალე დამწიფდებაო.
- კაცს კაცი უნდა გერქვას, თორემ ულვაში კატასაც აქვსო.
- მტერმა მტრის ამბავი თუ იცის, მასთან ბრძოლა არ გაუძნელდებაო.
- პატიოსნება უენოდ ლაპარაკობსო.
- როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო.
- სამშობლოს ერთგული უდიდგვაროდაც დიდიაო.
- საცა სიყვარული არ არის, იქ სიხარულს რა უნდაო.
- სიმართლის ნერგი სიპ ქვაზედაც გაიხარებსო.
- სიცრუე დილამდეო და სიმართლე შვილიშვილამდეო.
- სოკო ამინდს მოჰყავსო.
- შეემატოს მღვიძარესო, შემოაკლდეს მძინარესო.
- შენი ჭირიმეთი შვილი არ გაიზრდებაო.
- ცოდვა კაცს არ მოასვენებსო.
- ძროხას საწველი მოუტანეს და თქვა: ხარი ვარო; ულელი მოუტანეს და – ძროხა ვარო.
- წყევლამ თქვა: სწორი გზა მაჩვენე, თორემ უკანვე დაგიბრუნდებიო.
- ხე ფესვებითა დგას, კაცი მოყვრითაო.
- ხემ თქვაო: „ცული მე რას დამაკლებდა, შიგ ჩემი გვარისა რომ არ ერიოსო“.

- *გველმა კანი გაიძრო, მაგრამ გული გველისა შერჩაო*
- *დედის წინ გამქცევ კვიცსაო, მგელი გამოჰკრავს კბილსაო.*
- *ვინც გააჩინა თხა, მან მოუგრიხა რქა*
- *ზღვა ფაფად იდგა, უბედურს კოვზიც არ ხვდაო*
- *თევზმა თევზს უთხრა: - ცოტა იქით მიიძარიო, - საით მივიძრა, ორივენი ერთ ტაფაში ვიწვითო*
- *თუ თვალით ვერ დაინახო, ყურით გაგონილს ნუ დასდევო*
- *მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო*
- *მგელი არ მოიშლის მგლობასო, კაი ყმა მამაცობასო*
- *პირველი მოჩივარი ბატონს მართალი ეგონაო*
- *სადაც არა სჯობს - გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან*
- *სადაც ცული ვერ გამოდგება, იქ პატარა ხერხს გააქვს და გამოაქვს ხოლმე*
- *უსწავლელი ქვაზე დაჯდა, ქვა-ქვაზე დაემატაო*
- *ფლანგვით თუ იცხოვრე ახალგაზრდობისას, სიმშილით მოჰკვდები სიბერისას*
- *ქათამი რომ წყალს დალევს, ზევით ღმერთს შეხედავს - ღმერთო შემარგეო*
- *ქვეყნიერების დანგრევის მოლოდინში თხუნელამ თვალები დაითხარა: სულ ერთია, აღარ გათენდებაო*
- *შეგნებულ კაცს მონა გაუხდი და შეუგნებელ კაცს საყვარელ კაცადაც ნუ გაუხდებიო*
- *შურიანები იხოცებიან, შური კი ისევ რჩებაო*
- *ცარიელი ტომარა ფეხზე ვერ დადგებაო*
- *ძმა თუ არ გყავდეს - სხვა იძმე, უძმოდ სიკვდილი მწარეა*
- *ჯერ არ ვარგა ნავში ჯდომა, მერე მენავესთან ბრძოლა.*
- *ჰაცა, ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა ამოვა და მოძოვეო.*
- *ჰო, შენ ისე გინდა - ნემსი დასდო და სახნისი აიღო*



ბრძნული გამონათქვამები

- *ადამიანი ის არის, რა საქმეც ეხერხება.*

ჰეგელი

- *ყოველთვის ნუ იტყვი იმას რაც იცი, ხოლო ის -კი ყოველთვის იცოდე, რას ამბობ*

კლავდიუსი

- *ბიზნესზე დამყარებული მეგობრობა უკეთესია, ვიდრე მეგობრობაზე დამყარებული ბიზნესი.*

როკფელერი

- *რამდენადაც მწარეა წარსული, იმ-დენად ტკბილია აწმყო.*

შექსპირი

- *შურიანი მოწყენილია მაშინ, თუ მას უბედურება ეწვევა, ან თუ სხვას გაუ-მარტლებს.*

ბიონი

- *ადამიანთა სამი გვარი არსებობს: ერთ-ნი ემსახურებიან ღმერთს, იმიტომ რომ უკვე იპოვეს; მეორენი ეძებენ ღმერთს, იმიტომ რომ არ უპოვიათ; მესამენი - არც ეძებენ და არც უპოვიათ. პირველნი ბედნიერნი არიან და კეთილგონიერნი; მეორენი-უბედურნი და კეთილგონიერ-ნი; მესამენი - უბედურნი და უკეთურნი.*

პასკალი

- *საკუთარ შეცოდებათა დავიწყება თა-ვხედობას ჰბადებს.*

დემოკრიტე

- *ის კი არ არის გაჭირვებული, ვისაც ცოტა აქვს, არამედ ის, ვისაც ბევრი უნდა*

სენეკა

- *ჭკვიანი კაცი მტრისგანაც სწავლობს*

ჰიპოკრატე

- *სულელს თავი ჭკვიანი ჰგონია, ჭკვიანმა კი იცის ვინ არის სულელი.*

შექსპირი

- *ვინც წინ არ მიდის, ის უკან მიჰყვება. ერთ ადგილზე დგომა არ არსებობს.*

ბელინსკი

- *ვისაც კარგი სიძე შეხვდა,მას ვაჟიშვილი შეძინა,ვსისაც ცუდი – მან ასულიც და-კარგა.*

დემოკრიტე

- *უსარგებლო სიცოცხლე უდროო სიკვ-დილია.*

გოეთე

- *თითოეულ ხალხს ისეთი მთავობა ჰყავს, როგორსაც იმსახურებს.*

ჟოზეფ დე მესტრი

- *ლაპარაკის სწავლას ორი წელი უნდა დუმილის სწავლას — ორმოცდაათი.*

ჰემინგუეი

- *არა მხოლოდ მრისხანებით შეიძლება მოკვლა,არამედ დაცინვითაც.*

ფრიდრიხ ნიცშე

- *ხშირად არწივი ქათამზე დაბლაც კი და-ეშვება ხოლმე,მაგრამ ქათმები ღრუბ-ლებამდე ვერასოდეს მიაღწევენ.*

კრილოვი

- *ჭეშმარიტი სიმდიდრე ქონების სიდიდე კი არ არის,არამედ მისი გონიერი მოხმა-რებაა.*

ნაპოლეონი

- არაფერი არ არის ისე გადამდები, რო-გორც შეცდომა, რომელსაც მხარს უჭერს ცნობილი სახელი.

ბიუფონი

სუდოკუ

მოამზადა გიორგი ჯამლაძემ

შეავსეთ სუდოკუ ისე, რომ გამოტოვებულ უჯრებში ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე, ოღონდ არცერთ ჰორიზონტალურ მწკრივში, ვერტიკალურ სვეტში და კვადრატში, რომლებიც 9 უჯრისაგან შედგება, არ უნდა იყოს ორი ერთნაირი ციფრი.

მარტივი

1	8	5	2	9				7
2	3		1	7			5	
7			4	8		1	2	
	5					2		9
6	2		9	5			4	
4	9		7	1	2	5		6
		2	8	6			3	5
3		6					1	2
	1	8	3	2				4

რთული

4			3	9		7	1	
	1	6		2	7			
				6			4	
		3		4	9	1		5
6			2			8		
5	9		8		6		3	
7					1			3
2		8		7	4	6		
		4				5	8	

ამოხსნა

მარტივი

1	8	5	2	9	3	4	6	7
2	3	4	1	7	6	9	5	8
7	6	9	4	8	5	1	2	3
8	5	1	6	3	4	2	7	9
6	2	7	9	5	8	3	4	1
4	9	3	7	1	2	5	8	6
9	4	2	8	6	1	7	3	5
3	7	6	5	4	9	8	1	2
5	1	8	3	2	7	6	9	4

რთული

4	8	2	3	9	5	7	1	6
9	1	6	4	2	7	3	5	8
3	7	5	1	6	8	9	4	2
8	2	3	7	4	9	1	6	5
6	4	1	2	5	3	8	7	9
5	9	7	8	1	6	2	3	4
7	5	9	6	8	1	4	2	3
2	3	8	5	7	4	6	9	1
1	6	4	9	3	2	5	8	7

სამავშვო კვერცხი

სამავშვო რუბრიკა მომზადდა ბაღ „ჩიოტას“ დახმარებით

38 - სამავშვო ცესცემი

38 - ლაბირინთი

39 - ჩიგნი საუკეთესო მეგობარია

39 - იპოვეთ 7 განსხვავება!

40 - ბავშვთა ბაღი „ჩიოტა“

საბავშვო ტესტები

1. **საქართველოს რომელ კუთხეშია ვარძია?**

   ა. სამეგრელო ბ. სამცხე-ჯავახეთი
   გ. აჭარა დ. გურია

2. **რომელია მსოფლიოში ყველაზე გრძელი მდინარე?**

   ა. ნილოსი ბ. ამაზონი
   გ. მისისიპი დ. ვოლგა

3. **სადაურია წარმოშობით ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა?**

   ა. ევროპელი ბ. აზიელი
   გ. აფრიკელი დ. ამერიკელი

პასუხები იხილეთ მე-40-ე გვერდზე

4. **ტწარმოშობით რომელი ქვეყნიდანაა მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო და საფრეანგეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი.?**

   ა. ტუნისი ბ. ეგვიპტე
   გ. ალჟირი დ. საფრანგეთი

5. **რამდენი წლის იყო წმინდა მუჰამმედი როცა მას შუამავლობის მისია დაეკისრა?**

   ა. 63 ბ. 40
   გ. 23 დ. 43

6. **რომელი შუამალის მოღვაწეობის პერიოდში მოხდა წარღვნა?**

   ა. ჰუდი ბ. მუსა
   გ. ნუჰი გ. ისა

დაეხმარეთ ბატს გადალახოს რთული ლაბირინთი და მოინახოულოს თავისი მეგობარი



წიგნი საუკეთესო მეგობარია

ანას წიგნის კითხვა ძალიან უყვარას. თავისუფალ დროს ყოველთვის წიგნის კითხვაში ატარებს, ხოლო მის მეგობარ დათოს წიგნი სულ არ მოსწონს და იგი თავისუფალ დროს კომპიუტერთან თამაშში ატარებს. ერთ დღეს დათომ დაბადების დღის აღსანიშნავად ანა და სხვა მეგობრები მიიწვია. მეგობრებმა მას კომპიუტერის სათამაშო კომპაქტური დისკები აჩუქეს, ანამ კი მეგობრებისგან განსხვავებით საუკეთესო ზღაპრების წიგნი მიუტანა.

დათომ, ანას საჩუქარს სულაც არ მიაქცია ყურადღება, მაშინვე კოპაქტურ დისკებს ეცა და თამაში დაიწყო. ერთ დღესაც დათოს კომიუტერი მწყობრიდან გამოვიდა. სათამაშო რომ ვეღარაფერი იპოვა ძალიან მოიწყინა. ოთახში სხვა სათამაშოების მოძებნა დაიწყო რომ ამ დროს ანას მიერ ნაჩუქარი ზღაპრების წიგნი დაინახა. იფიქრა: ჯერ ერთ-ორგვერდს წავიკითხავ შემდეგ კი სათამაშოდ ეზოში გავალო. მაგრამ წიგნის კითხვა რომ დაიწყო ძალიან მოეწონა. ვინაიდან ზღაპრები ერთი მეორეზე უფრო საინტერესო იყო. დათო კითხვასთან ერთად ახალ ცოდნასაც იძენდა. როდესაც წიგნის კითხვას მორჩა თქვა: ნეტავი ადრე მცოდნოდა და ამდენი დრო კოპიუტერთან უქმად არ გამეტარებინა, წიგნი თამაშზე თან უკეთესი და თან უფრო გასართობი ყოფილაო. დღეიდან მეც ანას მსგავსად სულ წიგნს ვიკითხავ. როდესაც ანამ გაიგო რომ დათოს წიგნის კითხვა დაუწყია, ძალიან გაუხარდა. ამის შემდეგ დათო კომპიუტერთან ძალიან ცოტა დროს ატარებდა, ხოლო თავისუფალი დროის უმეტესი ნაწილი წიგნის კითხვას დუათმო.

იპოვეთ სურათებს შორის 7 განსხვავება

ბავშვთა ბაღი „ჩიორა“

2011-წელს „სადა“-სთან არსებულ ბავშვთა ბაღ „ჩიორა“-ში სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებით ბანკეტი, „სკოლისაკენ ჰერი-ჰერი“ გადაიხადეს და აღსაზრდელები სკოლაში გააცილეს. სადა-ს პრეზიდენტმა ადამ შანთაძემ ბავშვებს სიგელები გადასცა და სასკოლო ნივთებით დაასაჩუქრა. „ჩიორამ“ თავისი აღსაზრდელები გასართობ ცენტრ „დინო“-ში წაიყვანა, სადაც პატარებმა დაუვიწყარი დრო გაატარეს. ნორჩებმა ასევე ბულვარში გაისეირნეს და შემდეგ აჭარის ა. რ საფუთოში მივიდნენ სადაც აჭარის მუფთმა ჯემალ პაქსაძემ მათ სკოლისაკენ გზა დაულოცა. ჩიორას თანამშრომლებს თავიანთ არსაზრდელებთან განშორება ძალიან გაუჭირდათ. ისინი ნორჩებს ჯანმრთელობას, წინსვლას, წარმატებას, ფრიადებზე სწავლასა და რაც მთავარია „ჩიორას“, სადაც პატარებმა განათლების სფეროში თავიანთი პირველი ნაბიჯი გადადგეს, არ დავიწყებას უსურვებენ.

38-ე გვერდზე განთავსებული ტესტების პასუხები

1. ბ 2. ა 3. დ 4. გ 5. ბ 6. გ